# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 4 აპრილი 1995 № 14 (152) ფასი 1000 მან ან ფარდი კუკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტაც მაცადეთ, გავმარჯვე

19-ე ტური. 3 აპრილი. სამტრედია — დინამო ?; 2 აპრილი. ივერია — დურუჯი 5:0, დილა—მეტალურგი 0:1, მარგვეთი—ზუგდიდი 1:0, გურია — საპოვნელა 2:1, შევარდენი — სამგურალი 1:0, ბათუმი—კახეთი 0:0, ტორპედო—კოლხეთი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 18 | 16 | 1 | 1 | 55-14 | 49 |
| დინამო | 17 | 14 | 2 | 1 | 74-20 | 44 |
| კოლხეთი | 18 | 13 | 2 | 3 | 39-14 | 41 |
| ბათუმი | 19 | 11 | 4 | 4 | 47-24 | 37 |
| მეტალურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 27-21 | 30 |
| ტორპედო | 19 | 9 | 2 | 8 | 31-28 | 29 |
| დილა | 19 | 8 | 4 | 7 | 15-17 | 28 |
| გურია | 19 | 7 | 5 | 7 | 31-43 | 26 |
| ივერია | 19 | 7 | 2 | 10 | 29-28 | 23 |
| ზუგდიდი | 19 | 6 | 3 | 10 | 31-36 | 21 |
| შევარდენი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-24 | 20 |
| მარგვეთი | 19 | 5 | 4 | 10 | 14-38 | 19 |
| კახეთი | 19 | 4 | 7 | 8 | 24-35 | 19 |
| დურუჯი | 19 | 5 | 1 | 13 | 19-49 | 16 |
| საპოვნელა | 19 | 4 | 2 | 13 | 22-51 | 14 |
| სამგურალი | 19 | 1 | 4 | 14 | 13-49 | 7 |

**ყიფიანი „უდინამოოდ" ვერ იქნებოდა ყიფიანი, ვერც „დინამო" იქნებოდა უყიფიანოდ „დინამო". ყიფიანმა „დინამოს" თვრამეტი წელი შესწირა, თორმეტი, როგორც ფეხბურთელმა. ყიფიანი მეხუთედ მოდის „დინამოში", ზურგზე კი ამ კლუბის მაისურით ნათამაშები სამას ორმოცდაათი მატჩი, ასოცდაოთხი გოლი, საკავშირო ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის, სამი ბრინჯაოს მედლები, ორი სსრკ თასი და ევროპის თასების თასი აწევს როგორც ფეხბურთელს, საქართველოს ორგზის ჩემპიონობა და თასი — როგორც მწვრთნელს.**

**მაშ ასე, ყიფიანი „დინამოში" მეხუთედ მოვიდა, ამჯერად... ყავარჯნებით.**

**სამწუხაროდ ყიფიანის სადებიუტო, და ამასთან ჩემპიონატის მთავარი მატჩის „სამტრედია" — „დინამოს" შედეგს ვერ გაცნობებთ. თამაში გუშინ 6 საათისთვის დამთავრდა, ამ დროისთვის კი გაზეთი სტამბას უნდა ჩაბარებულიყო... სამტრედიასთან მყის დაკავშირება დღევანდელ დროში კი...**



— ბატონო დავით, ტრავმები ფეხბურთელობისას უცხო ხილი არ ყოფილა თქვენთვის, მაგრამ ახლა? მაინც რა შეგემთხვათ კვიპროსში?

— მეგობრებთან ერთად ფეხბურთის სათამაშოდ წავედი. სტადიონი დაკეტილი იყო და იქვე ახლოს მოასფალტებულ მოედანზე მოგვიწია თამაშმა. ნახევარი საათის დაწყებული გვქონდა, ქუსლში საშინელი ტკივილი რომ ვიგრძენი. მივხვდი, ძალიან ცუდად რომ იყო საქმე. იქვე კლინიკაში წამიყვანეს და აქილევსის მყესის გაწყვეტა დამიდგინეს. ნაცნობმა ექიმმა მითხრა, თუ შვიდი დღის განმავლობაში ოპერაციას არ გაიკეთებ, დაკოჭლდებიო. სამსაათნახევრიანი ოპერაციის შემდეგ მთელი ფეხი თაბაშირში ჩამისვეს, ოპერაციიდან ორმოცდაორი დღის მერე რომ მომხსნიან. ამის შემდეგ მუხლსქვემოთ დამადებენ თაბაშირს და კიდევ ორიოდ კვირა მომიწევს ყავარჯნით სიარული. საბოლოოდ, თაბაშირისგან აპრილის ბოლოს გავთავისუფლდები...

— რაკიღა ტრავმაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა გკითხოთ იმის თაობაზე, რაზეც ახლაც ბჭობენ ქართველი გულშემატკივრები. ცამეტი წლის გადასახედიდან როგორ თვლით, ნაადრევი ხომ არ იყო დათო ყიფიანის ფეხბურთიდან წასვლა...

— ალბათ უნდა მეთამაშა. მაგრამ, ვფიქრობ, გადაღლილიც ვიყავი და ემოციებსაც აჰყევი. თანაც, ერთი უდავოა — ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერის პიკი მსოფლიო ჩემპიონატია. გული გამიტყდა, როცა 31 წლის ასაკში ეს შანსი ხელიდან გავუშვი. 1981 წლის სექტემბერში ესპანეთის ოთხთა ტურნირზე მიღებულ ტრავმაზე ახლაც ბევრს ვფიქრობ, მეუბნებიან, რომ ანზელმა შეგნებულად მომტეხა ფეხი. ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მოსაფერებლად არ დამეჯახა...

— კიდევ ერთი ტრავმა გავიხსენოთ და ამ თემაზე საუბარს მოვრჩეთ. ეროვნულ ჩემპიონატში მეორედ გამარჯვების შემდეგ ყიფიანი „დინამოს" მწვრთნელობიდან თავისი ნებით წავიდა, მერე კი გაირკვა, რომ კვლავ მძიმე ოპერაცია გელოდათ...

— ავტოავარიაში ტვინის შერყევამ, პატარ-პატარა ტრავმებმა თავი იჩინა და თითქმის ერთ ლიტრამდე შედედებული სისხლი ამომიღეს თავის ქალიდან. რეაბი- [illegible] შემომთავაზეს და დავრჩი თითქმის გასავარდნად განწირულ „ოლიმპიაკოსში". კაჭარავა და ჭედია წავიყვანე, მეორე მწვრთნელად — ნოდარ აკობია. ჩვენების კარგი თამაშის წყალობით დარჩა გუნდი უმაღლეს დივიზიონში. მეორე სეზონში კი კვიპროსზე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა...

— იმავე კვიპროსზე დავით ყიფიანი ისეთ შარში გაეხვა, თბილისში ხმა დაირხა, დიდხანს მოუწევს ციხეში ჯდომაო...

— უსაფუძვლო ჭორები იყო. ჩვენმა თანამემამულეებმა „ყიფიანის რეკეტიორობის" ამბავი გაზეთ „იზვესტიიდან" გაიგეს, მაგრამ რატომღაც იმავე „იზვესტიაში" ორი დღის შემდეგ დაბეჭდილი წინა წერილის გამაბათილებელი მასალა აღარავის ახსოვს. ამ თემაზე საუბარი იმით დავამთავროთ, რომ კვიპროსზე მართლმსაჯულების მექანიზმი საათივითაა აწყობილი და იქაური კანონის დამცველებს თუნდაც ოდნავი ხელის ჩასაჭიდიც რომ ჰქონდეთ, გარწმუნებთ, ახლა თქვენს წინ, „დინამოს" ბაზაზე კი არ ვიჯდებოდი, არამედ კვიპროსის ციხეში...

— ინტერვიუს უმთავრეს თემაზე გადავიდეთ. რატომ დაუბრუნდა დავით ყიფიანი თბილისის „დინამოს"?

— მალალფარდოვნების გარეშე გეტყვით — ეს დავით ყიფიანის მოქალაქეობრივი ვალი იყო. რა მორალური უფლება აქვს ყიფიანს, არ მივიდეს „დინამოში" სამუშაოდ, თუ მისი სჯერათ და კლუბის ხელმძღვანელობა სამუშაოდ იწვევს?

— რა გეგმები გაქვთ?

— ჯერ დიდი მუშაობაა საჭირო. დირექტორატთან ბევრ პრინციპულ საკითხზე უკვე შევთანხმდით. ჩვენი მიზანია, „დინამო" ისევ იმ დონემდე ავამაღლოთ, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ რომ იყო. მე ამის მისაღწევად ჩემი პრინციპები მაქვს. საწვრთნელ პროცესს, რეჟიმს, დისციპლინას ფეხბურთელები სხვანაირად უნდა მიუდგნენ. მათ უნდა შეიგნონ, რომ მათი მომზადების ამჟამინდელი დონე, რომელიც საქართველოში ჩემპიონობის მოსაპოვებლად კმარა, ევროპაში არაფერს ნიშნავს. თუ უფრო ბრძოლისუნარიანები არ გახდებიან, ვერცერთი ვერ გაიზრდება.

აქ მე ერთი თხოვნაც მექნება ჟურნალისტებთან: დღეიდანვე მინდა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადო ჩაწყობილ თამაშებს. თავს ნუ ვიტყუებთ, რომელი სპეციალისტი ვერ მიხვდება, მორიგებულნი არიან თუ არა გუნდები? ყველამ ყველაფერი იცის. მე პირობას გაძლევთ, ამ გზაზე არაფრის შემეშინდება. გთხოვთ, ჟურნალისტებიც მხარში ამომიდექით. ჩვენ ყველა უნდა დაგვეხმარონ, რათა კორუფციამ არ დაღუპოს ქართული ფეხბურთი. სხვანაირად არანაირ მუშაობას აზრი არ ექნება. ფიფა ამის წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის, „ფეირ პლეიც" შემოიღო. ამან აკი შედეგიც გამოიღო — ამერიკაში დიდი ფეხბურთი ვიხილეთ.

**— თუმცა, განა ზოგჯერ თავად ფიფა არ არის სუბიექტური...**

— რა თქმა უნდა, თუნდაც ამერიკის ჩემპიონატი ავიღოთ, მარადონას წასვლით ჩემპიონატი გაუფერულდა. ერთხელ პუშკაშს უთქვამს ვარსკვლავის მისიაზე სპორტში: წარმოიდგინეთ მაყურებლით გადაჭედილი დარბაზი, რომელიც სცენას მისჩერებია. იქ მუშა როიალს მოაგორებს, ვილაცეები ფარდებს ჰკიდებენ, ყველას კი ერთი აზრი უტრიალებს, როდის გამოვა სოლისტი და დაუკრავს, ყველა ხომ მის საყურებლად არის მისული. ასე უნდა იყოს ფეხბურთშიც. ამერიკაში პირიქით მოხდა — მარადონა ეფედრინისთვის გააგდეს...

**— მოდით, ისევ ჩვენს საქმეებს დავუბრუნდეთ. კმაყოფილი ხართ კონტინგენტით?**

— ფეხბურთელთა სიას რომ გადავხედე, ლამის იყო გამეცინა, როცა ოცდაორ კაცში 24 წლის „ვეტერანები" აღმოვაჩინე. გამოვითვალე საშუალო ასაკი და 21,5 წელი გამოვიდა. ამას თუ იმ ფეხბურთელებსაც გამოვაკლებთ, სეზონის ბოლოს რომ უცხოეთს აპირებენ წასვლას, საშუალო ასაკი 18 წელი გამოდის. ეს ხომ, ფაქტიურად, „ნორჩი დინამოელია"! ამხნისებისთვის საბჭოთა კავშირში სპეციალური ტურნირიც კი იმართებოდა. ბევრმა იცის ხოლმე თქმა, ქართველები ძალიან ნიჭიერები ვართო. არადა, ხომ გამოაჩინა სარკესავით გერმანიის ნაკრებმა ყველა ის ნაკლი, რაც გვჭირს?! ნიჭს მონდომება, შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი თუ არ ამაგრებს, ნიჭადვე დარჩება.

**— გუნდის მზადყოფნის საერთო დონეზე რას იტყვით?**

— დღეს მეორე ვარჯიშს ვატარებ. ჯერ მიჭირს დასკვნების გამოტანა. ბაზაზე საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ასპექტში ბევრი რამ რომ შეიცვლება — ორი აზრი არ არსებობს. ცოტა მადროვეთ, გავერკვე შექმნილ ვითარებაში, ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობანი სალად შევაფასო და მაგ კითხვაზეც გაგცემთ პასუხსაც.

**— ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთ უბედურებად პირველი ჯგუფის არასწორი სტრუქტურა მიმაჩნია. თქვენ როგორ თვლით, რამდენი გუნდი უნდა თამაშობდეს ჩვენში?**

— რაც შეეხება გუნდების ოდენობას და ამის ხშირ ცვლას, ფედერაცია ნაკლებადაა დამნაშავე, მე მაშინ საქართველოში ვმუშაობდი და კარგად მახსოვს, როგორი სიტუაცია იყო ქვეყანაში.

**— თქვენი ორი ვაჟი — ლევანი და ნიკა ქართველი გულშემატკივრებისთვის არცთუ უცხონი არიან — თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ამ ნიჭიერ ბიჭებს უფრო სრულად წარმოაჩინონ ფეხბურთში საკუთარი სახე, ნუთუ მხოლოდ „ყიფიანის შვილობა"?**

— რა თქმა უნდა, ესეცაა. ძნელია ფსიქოლოგიური წნეხისგან გათავისუფლება. სხვათა შორის, ლევანი გუნდში მე არ მომიწვევია — აქ დამხვდა. თუ ვერ დააკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს, გუნდიდან გავუშვებ. ისე, ჩემზე მეტად ვის უნდა, რომ ორივემ დიდი ფეხბურთი ითამაშოს?

**— სეზონის ბოლოს რამდენიმე ფეხბურთელიც დატოვებს გუნდს...**

— ეს ბუნებრივი მოვლენაა და მხოლოდ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ვიღაცა ვიღაცას ყიდის. დღეს ძნელია, უარი უთხრა ახალგაზრდა კაცს საზღვარგარეთ წასვლაზე. კვიპროსში დათო ყიზილაშვილი ბრწყინვალე ფორმაშია, ეგაა, უიღბ-ლოდ — ტრავმა მიიღო. არადა, ლამის ქუჩაში ვეღარ გამოდის, ისე უყვართ. იგივე შემიძლია ვთქვა გოჩა გოგრიჭიანზე, დიმა კუდინოვზე და როინ კერძევაძეზე. ისე კი, ვფიქრობ, რომ დროა ქართველებმა ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებს მიაშურონ.

**— ნაკრების მარცხზე რას იტყვით?**

— საშა ჩივაძე დიდი ფეხბურთელი და, როგორც ჩანს, ასეთივე მწვრთნელიცაა. დამარცხებაში მისი „წვლილი" ყველაზე ნაკლებია. ძნელია, მწვრთნელმა ხუთ დღეში გუნდი მოამზადოს გერმანიასთან შესახვედრად, თანაც როცა ათი-თერთმეტი ლეგიონერი ძლიერი კლუბები უნდა გვყავდეს და ნაკრების წევრთა „ლომის წილიც" საკუთარი ჩემპიონატიდან იყოს...

**— წელს არის ასეთი პრეცედენტი — „სამტრედია" ღირსეულ კონკურენციას უწევს „დინამოს". ამ გუნდის მწვრთნელი მურთაზ ხურცილავაა...**

— მურთაზი ჩემი უახლოესი მეგობარია. მე იგი მიშა მესხთან ერთად „დინამოს" ისტორიაში ყველაზე დიდ ფეხბურთელად მიმაჩნია. იგი დღესაც პირველ სადღეგრძელოს „დინამოსას" სვამს. განა შეიძლება ხურცილავა „დინამოს" მტერი იყოს? მისი კრიტიკული გამოსვლები მეტწილად ემოციის შედეგია. რაც შეეხება „სამტრედიის" გაძლიერებას, მე ამას მივესალმები, ნეტავ, სამი-ოთხი ასეთი გუნდი კიდევ გამოჩნდეს საქართველოში. რაგინდ მძაფრი კონკურენცია გაუწიონ გუნდებმა ერთმანეთს, ფეხბურთი ჩვენი გამაერთიანებელი უნდა იყოს და არა პირიქით...

...აქ ბატონ დავითს ძველმა დინამოელმა მეგობრებმა, გიორგი ჭილაიამ და დათო მუჯირმა მოაკითხეს. აბა, მაშინ დაიწყო: „გახსოვს...". როცა საუბარი ყიფიანის სამტრედიაში წასვლაზე ჩამოვარდა, ოთახში ბატონი ზაქრო თელია შემოვიდა, ყიფიანს თერმომეტრი ამოუღო, თავში ხელი შემოიკრა და „დაუცაცხანა": შენი ავტობუსში ჩაჯდომა და ჩემი იმ ავტობუსის ქვეშ შევარდნა ერთი იქნებაო.

ბატონი ზაქრო ერთადერთი კაცია ბაზაზე, რომელსაც შეუძლია ყიფიანს ამ ტონით ელაპარაკოს. ჩვენ დავემშვიდობეთ ბატონ დავითს, სამომავლოდ ინტერვიუც დავიბევეთ და გამოვედით დილმის ბაზიდან, რომელსაც, ყიფიანის ხელი უკვე ეტყობოდა.

მამუკა ქვარაცხელია

გია ახალაძის ფოტო

## ნემსაძე გერმანელებს ჩაბარდა



ზუსტად ისე, როგორც ამ ცნობილ ქართულ ანდაზაში: გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. გიორგი ნემსაძემ ბოტკინი ძლივს მოირჩინა, ვარჯიში დაიწყო და... მენისკი. მუდამ ბრძოლისთვის შემართული დინამოელი ნახევარმცველის ყავარჯნით ნახვა, ცოტა არ იყოს, ამაღელვებელიც კი იყო...

— ვარჯიში დავიწყე, ღვიძლი აღარ მაწუხებდა. ნელ-ნელა დატვირთვებსაც ვზრდიდი და... მუხლი თითქოს გამეჭედა, ვეღარ მოვხარე. მივხვდი, მენისკი იყო. აქ კი დიდი მადლობის სიტყვები მინდა ვუთხრა ჩემი კლუბის ხელმძღვანელებს — სწორედ მათი შეწევნით მოხერხდა აქ ჩამოსულ გერმანიის ნაკრების ექიმთან დოქტორ ჰესთან შეხვედრა და გასინჯვა. მან მუხლიდან სისხლი ამომიღო და მენისკის დიაგნოზიც დაადასტურა. კლუბის დირექტორატის წევრებს უჩა მალაზონიას და ლევან სულაბერიძეს ახლა გერმანიაში მივყავარ. საარ-ლუისის კლინიკაში, რომლის შეფი სწორედ ბატონი ჰესია, ოპერაციას გამიკეთებენ, ათ დღეში კი ვარჯიშსაც დაიწყებო, მითხრეს.

მაშ ასე, პუნქტუალურ გერმანელთა გეგმის თანახმად დღეს, თბილისის დროით 12 საათზე საარ-ლუისის კლინიკაში დოქტორი ჰესი გიორგი ნემსაძეს ოპერაციას გაუკეთებს. იმავე გეგმით, 14 აპრილს მან ვარჯიშიც უნდა დაიწყოს.

## დღეს, ხვალ და ზეგ

სპორტის სასახლეში დიდი საკალათბურთო ბრძოლებია მოსალოდნელი. დღეს, 15 საათზე მთავარი მატჩი : „კაქტუსი" — „ვითა" გაიმართება. შეხვედრას სერგო მალალაშვილი და ლევან ინწკირველი იმსაჯებენ (თუ რატომ, იხილეთ მე-6 გვერდი). ხვალ, ამავე დროს, „ვითა" შეერკინება „დინამოს", ხოლო ზეგ „კაქტუსი" — „დინამოა".

გუშინ კი, „კაქტუსმა" მოუგო „თორსს" 101:65, „დინამომ" — „მერანს" - 101:87, „ვითამ" დაამარცხა „აზოტი" - 96:79. ექვსეულის ორი ტურის შემდეგ ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა დინამოელი ლევან ქარაბაკი — 61 ქულა 2 მატჩში.

„სარბიელი" ძველებურად, სამშაბათობითა და პარასკეობით გამოდის

# კლინსმანი გემს სწორი გეზით მიაცურებს

## საქართველო — გერმანია 0:2. ჟურნალ „კიკერის“ მიმოხილვა

საქართველოს ნაკრებთან გამართული პირველი მატჩი წარმატებული გამოდგა. გაზაფხულის საამო ამინდში იურგენ კლინსმანის კაპიტნობით, რომელიც ნაკრების არწივიანი მაისურით 72-ე მატჩს ატარებდა, გერმანელებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეოთხე გამარჯვება მიითვალეს. ორივე ბურთი კაპიტნის ანგარიშზეა. მისმა პარტნიორმა თავდასხმაში ჰაიკო ჰერლიხმა დამაჯერებლად ითამაშა სადებიუტო შეხვედრაში. უკეთესი იქნებოდა, მიონხენგლადბახელს თავისი კარგი თამაში გოლითაც რომ აღენიშნა. გერმანიის ნაკრები მეშვიდე ჯგუფში თორმეტი ქულით პირველ ადგილზეა და ევროპის ჩემპიონატისკენ სწორი გეზი უჭირავს.

ბერტი ფოგტსმა შემტევი ტაქტიკა ირჩია. ვარაუდობდნენ, რომ იურგენ კლინსმანის გვერდით, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატში 27 გოლი გაიტანა, კარზე დაგეშილი ანდრეას მიოლერი იქნებოდა. ფოგტსმა სხვაგვარად განსაჯა და იურგენს თავდასხმაში ჰერლიხი მიაშველა. მიონხენგლადბახელი დებიუტანტი, 14 გატანილი ბურთით, მარიო ბასლერთან ერთად ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში. ბასლერის უპირატესობა ჰესლერთან შედარებით ის გახლავთ, რომ ბასლერი უფრო აქტიურად და ყოველგვარი შიშის გარეშე მოქმედებს საკუთარი კარის დაცვისას. ამიტომ დიქსი დორნერის ანალიზის შემდეგ, რომელიც მან საქართველო — უელსის მატჩის შემდეგ (5:0) გააკეთა, ნაკრების ხელმძღვანელობამ ბასლერის დაყენება არჩია.

ფოგტსმა გაითვალისწინა აილტსის საერთაშორისო გამოცდილებაც, რომელიც მას „ვერდერში“ ჰქონდა და არჩევანი სწორედ მასზე და არა მის კონკურენტ ფროინდზე შეაჩერა, თუმცა ბრემენელმა ფროინდზე მხოლოდ ოთხი მატჩით მეტი ითამაშა ეროვნულ ნაკრებში.

აგრესიულმა ტაქტიკამ მატჩის დასაწყისშივე გამოიღო ნაყოფი. სამი მცველი, წყნარი და საქმიანი ლიბერო ცხადაძის მეთაურობით, კლინსმანისა და ჰერლიხის მეურვეობით იყო დაკავებული. ბასლერის აქტიური მოქმედების წყალობით ნახევარდაცვას ხელფეხი გაეხსნა. თავისუფლებამინიჭებულმა როიტერმა კლინსმანს გოლიც გაატანინა. ეს იყო ნაკრების მეასე გოლი ბერტი ფოგტსის მეთაურობით. თუმცა მიოლერსაც ფართო ასპარეზი ჰქონდა, მან ვერაფერი სახეირო ვერ გააკეთა. დორტმუნდელი მეორე ნახევარში გააქტიურდა, მაგრამ არც მაშინ მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები.

მოედნის შუაგულში მტვერსასრუტივით ირჯებოდა დიტერ აილტსი, მისი ბეჯითი და გონივრული თამაში ქების ღირსია.

ქართველებმა კულისებს მიღმა მომზადებული რამდენიმე მაღალტექნიკური შოუ წარუდგინეს მეტოქეს, მაგრამ უშედეგოდ. თავდასხმაში ეულად მყოფ შოთა არველაძეს მონაცვლეობით ეშველებოდნენ ჯამარაული და ქინქლაძე. ამან პრობლემები შეუქმნა გერმანელთა დაცვას, მითუმეტეს, რომ გოგიჩაიშვილი თითქმის ყოველთვის სჯობნიდა ტაქტიკურად ვებერს და მის ზურგს უკან მოქმედებდა. ნახევარდაცვის ეს ჩავარდნა ბაბელს უნდა ესწორებინა ხოლმე. მანაც არასწორი პოზიციური თამაშის გამო ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას.

შესვენების დროს ბერტი ფოგტსმა კორექტივები შეიტანა ნაკრების დაცვის ხაზში: შეცვლაზე შემოსული ფროინდი გოგიჩაიშვილს აედევნა, აილტსი — ჯამარაულს, ბაბელი კი ქინქლაძეს. გერმანელები მეტოქეს მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და ორთაბრძოლებში სჯობნიდნენ კიდეც ფიზიკური მონაცემების წყალობით.

ვოლფგანგ ტობინი



„მიონხენგლადბახის“ მწვრთნელი ბერნდ კრაუსი დაცვის შესახებ



მანამ, სანამ ანგარიშს გავხსნიდით, დაცვა კარგად თამაშობდა. 1:0-ის შემდეგ ქართველები გააქტიურდნენ და დაცვასაც საქმე მოემატა. ორთაბრძოლებში ქართველები ხშირად გვჯაბნიდნენ ტექნიკის ხარჯზე. მეორე ტაიმში გერმანელთა დაცვას პრობლემა აღარ შექმნია ნახევარდაცვის კარგი და გათვლილი თამაშის წყალობით. ჰელმერი მცველთა რიგებსაც აწესრიგებდა და „ხვრელებსაც ავსებდა“. კოლერმა და ბაბელმა მოახერხეს გაენეიტრალებინათ მეტოქის თავდამსხმელები.

გვერდი მოამზადა
ერეკლე კიკილაშვილმა

გია ახალაძის ფოტო

„კარლსრუეს“ მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი ნახევარდაცვის თამაშზე



აილტსმა დაგვანახა, რომ იგი ნაკრების სრულფასოვანი წევრია. სასარგებლოდ მოქმედებდა მეტოქის შეტევის დროს და პარტნიორთა შეცდომებსაც ასწორებდა. მარჯვენა ფრთაზე კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს ბასლერი და როიტერი. მათი ტანდემი საუკეთესო გახლდათ — როიტერი დაცვაში, ბასლერი კი შეტევის ორგანიზაციაში. ამ უკანასკნელის მეოხებით იქმნებოდა თითქმის ყველა სახიფათო მომენტი საქართველოს ნაკრების კართან პირველ ტაიმში. მარიომ ჩვენი გუნდის მარჯვენა ფრთის პრობლემა გადაჭრა. მარცხენა ფრთაზე მოთამაშე მიოლერზე ლაპარაკიც არ მსურს, ისე უხეიროდ ითამაშა.

„კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელი ფრიდელ რაუში თავდასხმის თამაშზე



კლინსმანმა თავი ნაღდ კაპიტნად წარმოაჩინა. იგი იყო ჩვენი ნაკრების შეტევების სულის ჩამდგმელი, აკეთებდა გრძელ რეიდებს მოედნის შუაგულიდან მეტოქის კარამდე, ბურთიანად თუ უბურთოდ სულ თამაშში იყო, რითაც თანაგუნდელებს ამოცანას უიოლებდა. გავიხსენოთ ბაბელის დარტყმა, როცა ბურთი ძელმა მოიგერია. კლასიკური იყო მისი თაური ბასლერის კუთხურის შემდეგ (1:0) და გერდ მიულერის სტილში გატანილი უმაღლესი ოსტატობით შესრულებული მეორე გოლი ჰერლიხის კარგი პასის შემდეგ. დებიუტანტს თავისი სამუშაო არც თუ ცუდად შეუსრულებია — იბრძოდა, ძალიან ბევრს დარბოდა და დაცვასაც შველოდა. კლინსმან-ჰერლიხის დუეტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

გერმანელი ფეხბურთელების შეფასება (უმაღლესი ნიშანი — 1, უდაბლესი — 5):

**ანდრეას კეპკე — 2**

სამუშაო ცოტა ჰქონდა, მაგრამ ორჯერ მაინც ისახელა თავი ქინქლაძის საჯარიმო და გოგრიჭიანის ახლო მანძილიდან დარტყმების შემდეგ. ამის გარდა რთული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა მისთვის არ მიუციათ.

**თომას ჰელმერი — 3**

თავიდან პრობლემები შეექმნა დაცვის მოწესრიგებასა და ორთაბრძოლებში. კარგად ირჯებოდა სტანდარტულ სიტუაციებსა და საჰაერო პაექრობაში. შესვენების შემდეგ მის თამაშს წუნს ვერ დასდებდი.

**იურგენ კოლერი — 3**

ქართველთა ერთადერთი და სახიფათო თავდამსხმელი კარგად დაიჭირა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ბურთისთვის ბრძოლას მეტოქის ნახევარზე იწყებდა.

**მარკუს ბაბელი — 3**

ეხმარებოდა ნახევარდაცვას, რაც კარგად გამოსდიოდა კიდეც. 54-ე წუთზე მისი დარტყმა ძელს მოხვდა. ძლიერად მოთამაშე გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ ხშირად აგებდა ხოლმე პოზიციურსა და ინდივიდუალურ ორთაბრძოლას. მეორე ნახევარში უფრო ძლიერად ითამაშა, რადგან მხოლოდ ქინქლაძეს აედევნა.

**შტეფან როიტერი — 2,5**

მარჯვენა ფრთაზე დიდი გასაქანი ჰქონდა, რაც კარგად გამოიყენა. დიდი წვლილი მიუძღვის მეორე გოლის გატანაში, როცა მთელი მინდორი გადასერა და ჰერლიხს ჭკვიანური პასი მიაწოდა.

**მარიო ბასლერი — 2,5**

შესვენებამდე საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი იყო. მარჯვენა ფრთაზე საოცრად შრომატევადი სამუშაო შეასრულა. მეორე ტაიმშიც დომინირებდა მოედანზე.

**დიტერ აილტსი — 2**

დიდი ჟინით ერთვებოდა ორთაბრძოლებში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. იკავებდა ჰელმერის ადგილს, როცა ის წინ მიდიოდა. კარგად ხედავს მოედანს.

**ანდრეას მიოლერი — 5**

თავის 50-ე მატჩში გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში მიოლერმა ყველაზე ცუდად ითამაშა. ორთაბრძოლებს თავს არიდებდა და შეტევისთვისაც არაფერს ქმნიდა — არც ბურთით და არც უბურთოდ იერიშებში არ ერთვებოდა.

**რალფ ვებერი — 4**

თავისი ამოცანა ვერ შეასრულა. წინ არაფერი გაუკეთებია, თანაც გოგიჩაიშვილმა დაჯაბნა.

**იურგენ კლინსმანი — 1,5**

კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გოლეადორია. სჯობდა თავის მეურვეებს. ნაკრებში ნათამაშებ ბოლო 17 მატჩში მან უკვე 13 ბურთი გაიტანა. ლამაზი თაურით გახსნა ანგარიში ბასლერის მიერ ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ.

**ჰაიკო ჰერლიხი — 3,5**

უტევდა მარცხენა ფრთიდან და რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანაც, მაგრამ ბოლო მომენტში ბედი არ სწყალობდა. კარგი ასისტენტობა გაუწია კლინსმანს, როცა მან ანგარიში 2:0 გახადა. ისიც აღსანიშნავია, რომ მას აკლდა თანაგუნდელების მხარდაჭერა მარცხენა ფრთიდან.

**შტეფან ფროინდი — 3**

თამაშში კარგი დარტყმით ჩაერთო. შეზღუდა გოგიჩაიშვილის თარეში მარცხენა ფრთაზე.

რაინერ ფრანცკე

საქართველოსნაირი მეტოქე საოცრად სახიფათოა ჩვენთვის. ამ გუნდთან თამაშისას, ყველაფერი, გამარჯვების გარდა, კატასტროფად აღიქმება. შეიძლება ითქვას, რომ სამი ქულა მივითვალეთ, პროგრამა შესრულებულია!

# ენდი მიოლერი – გამოცანა

ქართველებმა დასაწყისში გამაოცეს. მათ რამდენჯერმე ტექნიკურად მაღალ დონეზე გაითამაშეს „კედელი“, რასაც ჩვენს კართან საფრთხე მოჰყვა. ამის მერე ჩვენებმა სტანდარტული სიტუაციიდან გაიტანეს შესანიშნავი გოლი, რომელიც კლინსმანის ანგარიშზეა. მან დაამტკიცა, რომ ტყუილად არ უკეთია კაპიტნის სამკლაური და რომ გუნდის ლიდერის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს. რასაც იურგენი აკეთებს, ყველაფერს ლაზათიანად აკეთებს.

ფსიქოლოგიურად ძალიან დაგვეხმარა მეორე გოლი, რომელიც ჩინებული კომბინაციის შემდეგ გავიტანეთ. გაშვებულმა ბურთმა ქართველები შოკში ჩააგდო, მათ მეორე ტაიმში „თავისი თამაში დაკარგეს“ და ისე შეწყობილად ველარ თამაშობდნენ, როგორც პირველში.

იმედები გამიმართლა მარიო ბასლერმა. იგი ძალიან აქტიურად და თავისუფლადაც თამაშობდა. მან ბევრი სახიფათო მომენტი უვნებელყო მარჯვენა ფრთაზე, რასაც ვერ ვიტყვით მარცხენაფლანგელ მცველებზე.

ამოუცნობი დარჩა ჩემთვის ანდი მიოლერის თამაში. მას მწვრთნელის ზურგი აქვს და ნაკრებში მყარად გრძნობს თავს. თამაშის დროს იგი ბურთს იქით მიათრევდა, საითაც თავად მიდიოდა და არაფერს ქმნიდა. ბურთის კარგად ფლობა არ ნიშნავს იმას, რომ ნაკრებში ითამაშო, ეს მხოლოდ მინიმალური მოთხოვნაა ფეხბურთელისთვის. გუნდში [illegible] ანდი საოცრად განსხვავებ[illegible] თამაშობს. თუ რატომ [illegible] ჩემთვის გამოცანაა.

კარგად წარმოჩნდ[illegible] მატჩში გერმანიის ნაკ[illegible] ახალგაზრდა თავდამსხმელი ჰაიკო ჰ[illegible]. ის შესანიშნავი ალტერნატ[illegible] ალტერნატივაა. მეთქი, ეს საგანგებო[illegible] რადგან, ჩემი აზრით, რიდლეს [illegible] შემდეგ ჩვენი თავდ[illegible] კლინსმან-რიდლეს დუეტმა უნდ[illegible] ფოგტსს კი უნდა უხაროდე[illegible] რაჰნის, კუნცის ან ბობიჩის [illegible] შეცვლა ეზრდება.

ორი სიტყვა თ[illegible] ალბათ ძნელია, ნაკრებში [illegible] მატჩის შემდეგ სათადარიგო[illegible] მოჩნდე, მაგრამ უელსთან [illegible] შეიძლება ყველაფერი შე[illegible]

[illegible]მიულერი

***

სასტუმროდან სატელეფონო საუბარი, სულ მცირე, 23 მარკა ღირდა, ფული მაშინაც კი უნდა გადაგვეხადა, როცა აბონენტს ვერ დაუკავშირდებოდი.

***

გერმანიის ნაკრებმა საქართველოში გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით 25 შეკვრა შპრიცები, ანტიბიოტიკები, სხვა მედიკამენტები ჩამოიტანა. საავადმყოფოებში ჰუმანიტარული დახმარება ჩვენმა ცისფერჩაფხუტიანებმა გაანაწილეს.

***

გერმანიის ნაკრების პირველ ვარჯიშს 4000 ქართველი დაესწრო. „ასე გულთბილად დიდი ხანია არსად დაგვხვედრიან. თუკი გერმანიაში თამაშს აგვიკრძალავენ, საქართველოში ვისურვებდი მატჩის გამართვას“ — განაცხადა თომას ჰელმერმა.

***

გერმანიიდან საქართველოში მომავალ მანქანებზე დატვირთული სამუშაო აპარატურა რუსმა მებაჟეებმა დააკავეს და თბილისისკენ აღარ უშვებდნენ. გერმანელებმა გადაწყვიტეს ბარგი თვითმფრინავის მეშვეობით გადმოეზიდათ. საბოლოოდ, ბევრი ყოყმანის შემდეგ რუსებმა მაინც აუნთეს კოლონას მწვანე შუქი.

***

ბოლო ხნის მანძილზე პირველად მოხდა, რომ გერმანიის ჰიმნისთვის არ უსტვენიათ, პირიქით, ტაშიც კი დაუკრეს. საერთოდ, ასე გადაჭედილი სტადიონი არსად გვინახავს, ოღონდ თავიანთ გუნდს, ასი ათასი კაცის კვალობაზე ერთობ უცნაურად ქომაგობდნენ.

# ინტრიგა. 20-ე ტური. 6 აპრილი

## დინამო — ბათუმი

თბილისელებს თვალი ჩემპიონობისკენ უჭირავთ, ბათუმელები კი მესამე პრიზიორობაზეც ყაბულს არიან. ამ გუნდების ურთიერთობას ინტრიგა თავიდანვე დაებედა: მათ პირველ მატჩში, ბათუმში მასპინძლებმა ურთიერთშეხვედრებში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მარცხი აწვნიეს დინამოელებს. თანაც ეს შეხვედრა თავის დროზე საკმაოდ გახმაურდა, რისი მიზეზიც გახლდათ თბილისელთა საკმაოდ აგრესიული მოქმედება შეხვედრის არბიტრის, რუსთაველ ჯემალ წერეთლის მიმართ, რის გამოც ამ უკანასკნელმა მოედნიდან გააძევა თემურ ქეცბაია, გააფრთხილა კახი კაჭარავა, ხოლო საკმაოდ ალგზნებული კახი ცხადაძე მწვრთნელებმა დროულად შეცვალეს. ეს გუნდები ჩემპიონატში 10-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და თბილისელთა უპირატესობა აშკარაა: 8 გამარჯვება, ერთი მარცხი, ერთიც ფრე, ბურთების სხვაობა 24:10. ამ ჩემპიონატის პირველ წრეში, ბათუმში, დინამოელებმა გაიმარჯვეს — 5:3. თბილისში გამართული 5 შეხვედრიდან მასპინძლებმა ოთხში იმარჯვეს, ერთი კი დასრულდა ფრედ, თუმცა ამ მატჩშიც გამარჯვება თბილისელებს შეეძლოთ — შეხვედრის უკანასკნელ წუთზე მათ მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ სამართალმა პური ჭამა და ინალიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი. სხვათა შორის, დინამოელები საკმაოდ ცუდად ურტყამენ პენალტებს ბათუმელთა კარში — 5 თერთმეტმეტრიანიდან გამოიყენეს მხოლოდ ორი, მათმა მეტოქემ კი სამივე პენალტის გატანა შეძლო. ამ წყვილის შეხვედრებში 5 გატანილი ბურთით საუკეთესო ბომბარდირია არჩილ არველაძე, მიხეილ ყაველაშვილმა კი 4-ჯერ აიღო მეტოქის კარი. სტუმართაგან ყველაზე სახიფათოა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი პაატა მაჭუტაძე, რომელმაც დინამოელთა მეკარეებს სამჯერ გამოატანინა ბურთი კარიდან. სამჯერ იმსაჯა ამ წყვილის შეხვედრები თემურ მაჭარაძემ (ხონი) და სამივეში თბილისელებმა გაიმარჯვეს. დინამოელებმა ბოლო 10-წუთიან მონაკვეთში 7 გოლი გაუტანეს მეტოქეს, აქედან ორი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

## კოლხეთი 1913—სამტრედია

ამ მატჩის შედეგზეც დიდადაა დამოკიდებული საპრიზო ადგილების განაწილების ბედი. სამტრედიელთათვის ეს ერთერთი ყველაზე მძიმე შეხვედრა იქნება თანაც სტუმრად. მატჩის შედეგს კი დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის. ამ გუნდების ურთიერთობას თუ გავიხსენებთ, ჩემპიონატის ლიდერს უნდა გაუჭირდეს სასურველი შედეგის მიღწევა: 12 შეხვედრიდან ფოთელებმა 7 მოიგეს, 2 ფრედ დასრულდა და სამში დამარცხდნენ, ბურთების სხვაობაც გვარიანია — 27-12. თანაც, ფოთში სამტრედიელებს განსაკუთრებით უჭირთ — 2 ფრე და 4 წაგება 6 მატჩში.

სტუმრებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ, თუ ფოთელთაგან ითამაშა ბოლო ხანს ტრავმირებულმა დავით მახარაძემ, რომელიც ძალიან ძლიერად თამაშობს სამტრედიელთა წინააღმდეგ. მან ამ გუნდების 8 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 9 გოლიც გაიტანა. 12 შეხვედრიდან 6-ში მეტოქეებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, ერთში სხვაობა 2 ბურთი იყო, ხოლო დიდი ანგარიში აღინიშნა 3-ჯერ: სამჯერვე წარმატებას ზღვისპირელებმა მიაღწიეს. პირველი წრის შეხვედრაში სამტრედიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

## სამგურალი — გურია

მასპინძელთათვის ყოველ მატჩს, განსაკუთრებით შინ ჩატარებულს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მათ ხომ უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ. ლანჩხუთელები მეორე წრეში საკმაოდ სუსტად ასპარეზობენ. ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა სტუმართა მხარესაა: 7 მოგება, 3 წაგება. ის კი არა, წყალტუბოში გამართულ მატჩებშიც ლანჩხუთელები ყოჩაღობენ — 3 მოგება, 2 წაგება. საერთშანეთო ბომბარდირები: კორღალიძე, გოგოლაძე (ორივე „გურია“, 4-4 გოლი) და მერაბ მეგრელაძე („სამგურალი“, 3 გოლი) ამ გუნდებში აღარ თამაშობენ, დანარჩენები კი შედეგიანობით არ გამოირჩევიან. თუ არ ჩავთვლით ამ გუნდების პირველ შეხვედრას, რომელიც კონფლიქტური გამოდგა (თითო გაძევება და ერთი გართხილება), დანარჩენ 9 მატჩზე საკმაოდ კორექტული ითქმის (თითო გაფრთხილება). I წრის შეხვედრა ლანჩხუთში „გურიის“ გამარჯვებით დამთავრდა — 4:2. არადა, თამაშის 47-ე წუთისთვის მასპინძლები 4:0 იგებდნენ და სტუმრებმა მხოლოდ ბოლო 10 წუთში შეძლეს ორი ბურთის გაქვითვა.

## კახეთი — შევარდენი 1906

მეტოქეები, ალბათ, ძალღონეს არ დაიშურებენ სატურნირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უპირატესობა თბილისელთა მხარესაა: 5 მატჩიდან მათ სამში გაიმარჯვეს, ერთში დამარცხდნენ და ერთიც ფრედ დასრულდა. თელავში გამართულ ორ მატჩში თანაფარდობაა — მეტოქეებმა თითოჯერ მოიგეს. თელაველმა ვასილ სეფაშვილმა სამი ბურთი გაუტანა თბილისელებს. ამ გუნდების შეხვედრები მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა კორექტულობით — 7 გაფრთხილება, 1 გაძევება. პირველი წრის შეხვედრა 2:2 დასრულდა.

## საპოვნელა — მარგვეთი

ჯგუფიდან გავარდნის კანდიდატთა შეხვედრა, ცხადია, უშელავათო იქნება. ჩემპიონატიების სამ მატჩში ჯერჯერობით საყაიმო ვითარებაა — თითო მოგება, ერთი ფრე. თუ თერჯოლელ კარლო ჩინჩალაძეს თავის 4 „სამარგვეთო“ გოლს კიდევ შეუძლია მიამატოს, ყოფილ მარგვეთელ მერაბ მეგრელაძეს (3 გოლი) ამის საშუალება აღარა აქვს გასაგებ მიზეზთა გამო. პირველი წრის შეხვედრა 1:1 დასრულდა.

## დურუჯი — ტორპედო

ამათ განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ: მასპინძლებს — როგორმე შეინარჩუნონ ადგილი უძლიერესთა შორის, სტუმრებს კი მძაფრი ბრძოლა უხდებათ ხუთეულში მოსახვედრად. ყვარლელები უეჭველად ეცდებიან რევანშის აღებას პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის (1:2), მაგრამ გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, საეჭვოა, ეს მოახერხონ.

## მეტალურგი — ივერია

ხაშურელები მასპინძლებისთვის მეტად უსიამოვნო მეტოქედ ითვლებიან. რუსთაველებმა მხოლოდ პირველ ორ მატჩში გაიმარჯვეს, მომდევნო 6-ში მხოლოდ ერთხელ აღინიშნა ფრე, დანარჩენი 5 კი „ივერიამ“ მოიგო, მათ შორის ბოლო სამი. ზედიზედ რუსთავში გამართულ 3 მატჩში თანაბრობაა: თითო მოგება, წაგება და ფრე. კლუბების ბომბარდირებს — ვარლამ კილასონიას („მეტალურგი“) და გივი ქობელაშვილს („ივერია“) 4-4 გოლი აქვთ გატანილი. პირველი წრის შეხვედრაში მასპინძელმა ხაშურელებმა გაიმარჯვეს 2:0, არადა, შეხვედრის ბოლო 3 წუთში „ივერიის“ კარში დაინიშნა ორი პენალტი, მაგრამ რუსთაველებმა ვერ ივარგეს.

## ზუგდიდი — დილა

ამ გუნდების შეხვედრები ყოველთვის უკომპრომისოა. 3 მატჩში გაიმარჯვეს ზუგდიდელებმა, ხუთში — გორელებმა, ფრე ჯერ არ დაფიქსირებულა. ამასთან, წარმატებას ყოველთვის მასპინძლები აღწევდნენ. ასე რომ, მომავალ მატჩში ზუგდიდელთა გამარჯვებაა მოსალოდნელი. თუ მოიგეს, სტუმრებს პირველ ხუთეულში დამკვიდრების რეალური შანსი უჩნდებათ, მასპინძლებს კი გამარჯვება საკმაოდ განარიდებს აუტსაიდერთა ზონას. ურთიერთშეხვედრებში საუკეთესო ბომბარდირობას არავის უთმობენ გორელი ძმები ზვიად და ზურაბ ხორგუაშვილები — მათ შესაბამისად 5 და 3 გოლი აქვთ გატანილი, ზუგდიდელთაგან კი ამ მხრივ არავინაა განსაკუთრებით გამოსარჩევი. პირველი წრის გორის მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 1:0.

რევაზ შენგელია

XVIII ტური. 22 მარტი

### ზუგდიდი 1:0 გურია

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, ერქვანია, მიქაძე, ქაძანაია, კვარაცხელია, ჯაბუა (ნიტაიშვილი 84), დარასელია, კუტალია, გაბედავა

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, ბურდული (წილოსანი 83), კუკულაძე, ნარიაშვილი, ლორია, კვინტრაძე, განიევი, პატარაია, სიხარულიძე, ქიქავა

1:0 ახვლედიანი (28)

პენალტი ვერ გამოიყენა ქაძანაიამ (37)

გაფრთხილება: განიევი

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

XVII ტური. 28 მარტი

### სამტრედია 5:0 სამგურალი

სამტრედია: ჭანტურია (სტურუა 78), იონანიძე (ჩომახიძე 68), გუჯაბიძე ჯიკაევი, ჯიშკარიანი, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ფანჩულიძე, დ. ჯანაშია (მ. ვაშაკიძე 81), ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, მუშკუდიანი (გუბელაძე 65), გ. ჯანელიძე, თოდაძე, გ. ჩიხლაძე, ივანეიშვილი, იობიძე, ხარაბაძე (ჯანაშია 46), აშვეთია, ჩხეტიანი

1:0 ზ. ჯანაშია (8),2:0 იონანიძე (27), 3:0 ზ. ჯანაშია (28), 4:0 ჯიშკარიანი (75), 5:0 ზ. ჯანაშია (77)

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

კარგად გვესმის, სად ჩვენი კერძო აზრი და სად ავტორიტეტულ უცხოურ სპორტულ გამოცემათა, მაგრამ ეს ფეხბურთი ხომ მართლა ამოუწურავი თემაა... ამიტომაც ვთხოვეთ „სარბიელს“, ევროტურნირთა მატჩების წინა დღეებში მოეცა შესაძლებლობა მისი მკითხველებისთვის არცთუ მოუბოდიშებლად გაგვეცნო ჩვენი მოსაზრება ევროპულ კლუბთა რანგ-ლისტის შედგენის თაობაზე.

# იქნებ ასე დაგვეთვალა...

## ვინ ვინ არის ევროპულ ფეხბურთში

როგორც ცნობილია, ევროპული საფეხბურთო კლუბების პირველი ოფიციალური ტურნირი — ჩემპიონთა თასი გათამაშდა 1955-56 წლებში. მომდევნო 39 სეზონში გამოვლინდა ჩემპიონთა თასის (ჩთ) 39, თასების მფლობელთა თასის (თთ) — 34 და უეფას თასის (უთ) — 35 მფლობელი. ევროპის უძლიერესმა კლუბებმა ამ კონტინენტურ ტურნირებში არაერთ წარმატებას მიაღწიეს. სულ ევროთასებში 54-მა კლუბმა მიაღწია გამარჯვებას.

ევროპულ ტურნირებში გამოსვლის შედეგების გათვალისწინებით მრავალგზის შედგენილა კლუბების რეიტინგი. უპირატესობა უმთავრესად ენიჭებოდა გუნდების მიერ სხვადასხვა ტურნირებში დაგროვებული ქულების ჯამს.

ასეთი პრინციპი, რიგი მიზეზების გამო არაზუსტად გვესახება. ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში დიდ უპირატესობას იღებენ კლუბები, რომლებიც სხვებზე უფრო ხშირად მონაწილეობენ ტურნირებში, ეს კი უმეტესწილად განპირობებულია არა ევროტურნირებში, არამედ ეროვნულ პირველობაში და თასის გათამაშებაში მიღწეული წარმატებებით.

მეორე — კლუბების მიერ თასების გათამაშებაში დაგროვებული ქულები ყოველთვის ადეკვატურად ვერ ასახავს მათ წარმატებებს, რადგან შესაძლოა კლუბმა რეგულარულად აგროვოს ბევრი ქულა გათამაშების საწყის ეტაპებზე სუსტ მეტოქეებთან შეხვედრებში, შემდეგ კი მარცხდებოდეს. „ქულათა სისტემის“ საწინააღმდეგო სხვა არგუმენტები განვიხილოთ კონკრეტულ შემთხვევებზე.

ცნობილ ინგლისურ ჟურნალ „WORLD SOCCER“-ში გამოქვეყნებულ „ქულათა პრინციპით“ შედგენილ 50 საუკეთესო კლუბის ნუსხაში ადგილი არ აღმოჩნდა ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელ „ნოტინჰემ ფორესტისა“ ევროთასების კიდევ 17 (!) სხვა მფლობელისთვის.

ამ სისტემის მიუღებლობა კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გავაანალიზებთ კლუბების მიერ დაკავებულ ადგილებს. ასე, მაგალითად: მხოლოდ მე-8 ადგილზე აღმოჩნდა ჩთ-ის 4-გზისა და უთ-ის 2 გზის გამარჯვებული „ლივერპული“ (ევროთასებში გამარჯვების რაოდენობითთ ჩამორჩება მხოლოდ 3 კლუბს), ხოლო მაგალი, მე-11 პოზიცია უჭირავს „კიოლნს“, რომელმაც მხოლოდ ერთხელ მიაღწია ფინალს. ამასთან, თავისი 2 გამარჯვებითა და 3-გზის ფინალისტობით უფრო დაბალ ადგილზეა მიონხენგლადბახის „ბორუსია“, კიდევ უფრო დაბლა (მე-19 ადგილზე), იგივე შედეგებით, „ჰამბურგი“ და სავსებით მიუღებელია ევროთასების 3-გზის გამარჯვებულის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ 27-ე ადგილი.

ცხადია, რომ კლუბების ნებისმიერი მაჩვენებელი უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ მიღწეულ შედეგებს, „ქულათა“ სისტემაში კი, როგორც დავრწმუნდით, ასე არ არის მაგალითად, 1979-80 წლების უთ-ის გათამაშებაში გამარჯვებულმა — ფრანკფურტის „აინტრახტმა“ 12 თამაშში 13 ქულა დააგროვა. ფინალისტმა — მიონხენგლადბახის „ბორუსია“-მ კი 16, ნახევარფინალისტებმა — „შტუტგარტმა“ და „ბაიერნმა“ — 14 და 13 ქულა შესაბამისად მეოთხედფინალისტმა „კაიზერსლაუტერნმაც“ კი (მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულზე 4 თამაშით ნაკლები ჩაატარა) იგივე რაოდენობა ქულები დააგროვა. სხვათა შორის, ეს მაგალითი არ არის ერთადერთი. ევროთასების ისტორიაში მრავალჯერ იყო მსგავსი შემთხვევები: უთ-ის ზედიზედ ორ 1984-85 და 1985-86 წლების გათამაშებაში გაიმარჯვა მადრიდის „რეალმა“, მაგრამ პირველ შემთხვევაში მან „ვიდეოტონზე“ 2, მეორეში კი „კიოლნზე“ 4 ქულით ნაკლები მოაგროვა.

ყოველივე ამას შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ 1970-71 წლების სეზონამდე ორი მატჩის ჯამში გატანილი ბურთების ოდენობის ტოლობისას გამარჯვებულის გამოსავლენად ინიშნებოდა მესამე დამატებითი მატჩი, ანუ უპირატესობა არ ენიჭებოდა იმ კლუბს, რომელმაც მეტი გოლი გაიტანა მეტოქის მინდორზე და არც მატჩის შემდგომი პენალტების სერია ინიშნებოდა. ეს კი, ბუნებრივია, წარმოადგენდა დამატებითი ქულების მოპოვების წყაროს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჟურნალ „WORLD SOCCER“-ში გამოქვეყნებულ კლუბთა სიაში, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოდ მოხვდა 10-ზე მეტი კლუბი, მათ შორის 2-ს არასოდეს მიუღწევია ნახევარფინალამდეც კი, ხოლო 1-ს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მსგავსი მიღწევა.

ამიტომაც, ჩვენ უფრო სამართლიანად მივგაჩნია კლუბისთვის არა მათ მიერ დაგროვებული ქულების, არამედ „ჩასათვლელი“ ბალების დარიცხვა შემდეგი წესით: ნებისმიერი ევროთასების მფლობელს — 4 ბალი, ფინალისტს — 2, ხოლო ნახევარფინალისტს — 1. აქვე შევახსენებთ, რომ ბოლო წლებში ევროთასების გათამაშებებში კლუბების დაწყვილებისას ხდება ბოლო 5 გათამაშების ნახევარფინალისტების განთესვა, ე.ი. ნახევარფინალში გასვლა უეფას მიერ ითვლება კლუბის თამაშის კლასის მაჩვენებლად.

პირველ ცხრილში მოყვანილია კლუბებისა და ქვეყნების ჯამური მაჩვენებლები 1994-95 წლების სეზონის წინ.

| | თ | ფ | ნ | ბ |
|---|---|---|---|---|
| რეალი | 8 | 5 | 8 | 50 |
| ბარსელონა | 7 | 6 | 4 | 44 |
| მილანი | 7 | 3 | 2 | 36 |
| იუვენტუსი | 5 | 4 | 5 | 33 |
| ლივერპული | 6 | 2 | 2 | 30 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 8 | 28 |
| აიაქსი | 5 | 2 | 2 | 26 |
| ინტერი | 4 | 2 | 6 | 26 |
| ბენფიკა | 2 | 6 | 3 | 23 |
| ანდერლეხტი | 3 | 4 | 2 | 22 |
| ტოტენჰემი | 3 | 1 | 3 | 17 |
| ბორუსია (მიონხ.) | 2 | 3 | 3 | 17 |
| ჰამბურგი | 2 | 3 | 2 | 16 |
| ლიდსი | 2 | 3 | 2 | 16 |
| ატლეტიკო | 1 | 3 | 5 | 15 |
| ვალენსია | 3 | 1 | - | 14 |
| მანჩესტერ იუნ. | 2 | - | 6 | 14 |
| ცრვენა ზვეზდა | 1 | 1 | 6 | 12 |
| ფეიენოორდი | 2 | - | 3 | 11 |
| ეინდჰოვენი | 2 | - | 3 | 11 |
| არსენალი | 2 | 1 | - | 10 |
| დინამო (კიევი) | 2 | - | 2 | 10 |
| გიოტებორგი | 2 | - | 2 | 10 |
| ფიორენტინა | 1 | 3 | - | 10 |
| რომა | 1 | 2 | 2 | 10 |
| გლაზგო რეინჯერსი | 1. | 2 | 2 | 10 |
| სელტიკი | 1 | 1 | 4 | 10 |
| ფერენცვაროში | 1 | 2 | 2 | 10 |
| ნოტინგემი | 2 | - | 1 | 9 |
| კიოლნი | - | 1 | 7 | 9 |
| სამპდორია | 1 | 2 | - | 8 |
| მარსელი | 1 | 1 | 2 | 8 |
| აინტრახტი | 1 | 1 | 2 | 8 |
| სარაგოსა | 1 | 1 | 2 | 8 |
| სტიაუა | 1 | 1 | 1 | 7 |
| ბორუსია (დორტ.) | 1 | 1 | 1 | 7 |
| ვესტ ჰემი | 1 | 1 | 1 | 7 |
| დინამო (ზაგრები) | 1 | 1 | 1 | 7 |
| ჩელსი | 1 | 1 | 1 | 7 |
| პორტუ | 1 | 1 | 1 | 7 |
| პარმა | 1 | 1 | - | 6 |
| სპორტინგი | 1 | - | 2 | 6 |
| ვერდერი | 1 | - | 2 | 6 |
| ბრიუგე | - | 2 | 2 | 6 |
| დინამო (თბილისი) | 1 | - | 1 | 5 |
| აბერდინი | 1 | - | 1 | 5 |
| მანჩესტერ სიტი | 1 | - | 1 | 5 |
| მეჰელენი | 1 | - | 1 | 5 |
| ნაპოლი | 1 | - | 1 | 5 |
| ასტონ ვილა | 1 | - | - | 4 |
| სლოვანი | 1 | - | - | 4 |
| მაგდებურგი | 1 | - | - | 4 |
| ევერტონი | 1 | - | - | 4 |
| იფსვიჩი | 1 | - | - | 4 |
| ნიუკასლი | 1 | - | - | 4 |
| ბაიერი (ლ) | 1 | - | - | 4 |

ამ რეიტინგ-ლისტში შევიდა ევროთასებში გამარჯვებული ყველა კლუბი და ამოვარდნენ ის კლუბები, რომელთაც ბევრი, ან სულაც არაფერი დაეკვეხნებათ.

სისტემის გარკვეულ ნაკლს წარმოადგენს ზოგი კლუბის ერთნაირი მაჩვენებელი, მაგრამ დროთა განმავლობაში (მომავალში მიღწეული შედეგების საფუძველზე) მოხდება ამ კლუბთა მაჩვენებლების ბუნებრივი დაშორიშორება. ამასთან, გაიზრდება ის ქვედა ზღვარიც, რომლის მიღწევაც აუცილებელია ევროპულია საკლუბო ფეხბურთის გრანდების საზოგადოებაში შესასვლელად. რეიტინგ-ლისტი შემოსაზღვრულია 56 კლუბით, მაგრამ 4 ქულა აქვს კიდევ 9 გუნდს, რომელთაც ვერცერთხელ ვერ შეძლეს რომელიმე ევროთასის მოპოვება. ესენია: „რეიმსი“, „ბირმინჰემი“, „სტანდარდი“, „შტუტგარტი“, „აუსტრია“, „დანდი იუნაიტედი“, „დინამო“ (მოსკოვი), „ტვენტე“, „უიპეშტ დოჟა“.

ქვემოთ მოყვანილია იმ ქვეყნების ჯამური შედეგები, რომელთა კლუბებმაც შეძლეს „ჩასათვლელი“ ბალების მიღება.

| | თ | ფ | ნ | ბ |
|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 21 | 21 | 20 | 146 |
| ინგლისი | 24 | 12 | 20 | 140 |
| იტალია | 20 | 15 | 20 | 130 |
| გფრ | 12 | 14 | 35 | 111 |
| პოლანდია | 9 | 4 | 10 | 54 |
| ბელგია | 4 | 8 | 12 | 44 |
| პორტუგალია | 4 | 7 | 6 | 36 |
| შოტლანდია | 3 | 4 | 13 | 33 |
| საფრანგეთი | 1 | 6 | 13 | 29 |
| იუგოსლავია | 2 | 3 | 11 | 25 |
| სსრკ | 3 | 1 | 7 | 21 |
| უნგრეთი | 1 | 5 | 7 | 21 |
| შვედეთი | 2 | 1 | 2 | 12 |
| გდრ | 1 | 2 | 4 | 12 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | - | 7 | 11 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 4 | 10 |
| ავსტრია | - | 3 | 4 | 10 |
| პოლონეთი | - | 1 | 3 | 5 |
| საბერძნეთი | - | 1 | 2 | 4 |
| შვეიცარია | - | - | 4 | 4 |
| ბულგარეთი | - | - | 3 | 3 |
| თურქეთი | - | - | 2 | 2 |
| დანია | - | - | 1 | 1 |
| უელსი | - | - | 1 | 1 |

შემდეგ ცხრილში მოცემულია იმ კლუბებისა მაჩვენებლები, რომელთაც აქვთ საუკეთესო შედეგები ცალკეული ევროთასების გათამაშებაში.

| | თ | ფ | ნ | ბ |
|---|---|---|---|---|
| ჩემპიონთა თასი | | | | |
| რეალი | 6 | 3 | 7 | 37 |
| მილანი | 5 | 2 | 1 | 25 |
| ლივერპული | 4 | 1 | 1 | 19 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 3 | 19 |
| ბენფიკა | 2 | 5 | 1 | 19 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 15 |
| ინტერი | 2 | 2 | 2 | 14 |
| ბარსელონა | 1 | 3 | 2 | 12 |
| იუვენტუსი | 1 | 2 | 2 | 10 |
| თასების თასი | | | | |
| ბარსელონა | 3 | 2 | - | 16 |
| ანდერლეხტი | 2 | 2 | - | 12 |
| მილანი | 2 | 1 | - | 10 |
| ატლეტიკო | 1 | 2 | 2 | 10 |
| დინამო (კიევი) | 2 | - | - | 8 |
| გლაზგო რეინჯერსი | 1 | 2 | - | 8 |
| ვესტ ჰემი | 1 | 1 | 1 | 7 |
| ბაიერნი | 1 | 0 | 3 | 7 |
| უეფას თასი | | | | |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 17 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 2 | 16 |
| ბორუსია (მიონხ.) | 2 | 2 | 1 | 13 |
| ინტერი | 2 | - | 4 | 12 |
| ლიდსი | 2 | 1 | 1 | 11 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 1 | 11 |
| ვალენსია | 2 | 1 | - | 10 |
| ლივერპული | 2 | - | 1 | 9 |
| რეალი | 2 | - | 1 | 9 |

მიხეილ საგანტარიშვილი
ირაკლი გოქოლიშვილი

# იტალია

## მილანი მოკვდა, გაუმარჯოს იუვეს

25-ე ტური. 1-2 აპრილი

### მილანი 0:2 იუვენტუსი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი (77 სორდო), გალი, ბარეზი, ერანიო (46 დი კანიო), დონადონი, ბობანი, სავიჩევიჩი, სიმონე.

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, ტორიჩელი, კარერა, კოლერი, პაულუ სოუზა (74 მაროკი), დეშამი (80 პორინი), კონტე, ვიალი, რ. ბაჯო, რავანელი.

81 550 მაყურებელი

„იუვენტუსმა" დორტმუნდის „ბორუსიასთან" მატჩის წინ თავი არ დაზოგა და წარმატებით დააჭაშნიკა „სან სიროს" მოედანი, სადაც დღეს გერმანელებს უმასპინძლებს. ამ მოგების შემდეგ, ღმერთმა დაიფაროს და, ავიაკატასტროფაა თუ შეუშლის ხელს „ბებერ ქალბატონს" მორიგი სკუდეტოს მოპოვებაში... პირველ ტაიმში რავანელის გოლამდე გუნდებს თითო რეალური მომენტი ჰქონდათ: ჯერ სავიჩევიჩის თაური აილო პერუციმ, მერე კი როსიმ იყოჩაღა და პირისპირ გასული რობერტო ბაჯოს დარტყმა გააუვნებელჰყო. 41-ე წუთზე კვანძი გაიხსნა: რავანელიმ კედელი გაითამაშა ვიალისთან, ბურთი საჯარიმოში მიიღო, თავზე გადაუგდო როსის და ნადრევად გაჭალარავებული თავით ყველას დაასწრო — 0:1. მეორე ტაიმი პირველის მსგავსად ორმხრივ შეტევებში მიდიოდა: პერუციმ სიმონეს თაური და სავიჩევიჩის ცაცია დარტყმები აილო, სიმონემ კარგი პოზიციიდან ააცილა, „იუვენტუსის" ყველაზე სახიფათო შეტევა კი მცველმა ჩირო ფერარამ დაასრულა, მაგრამ უზუსტოდ. 84-ე წუთზე მასპინძლებმა ვიალის თამაშგარე დატოვება მოინდომეს, მაგრამ არ გამოუვიდათ და ჯანლუკამაც თავის შანსი არ გაუშვა: ისე დაარტყა, ვერც როსიმ და ვერც მის დასახმარებლად ჩასულმა გალიმ ხელი ვერ შეუშალეს. დარჩენილ ექვს წუთში საინტერესო მხოლოდ ისღა მოხდა, რომ მსაჯმა იდაყვის უშნოდ ქნევისთვის ბობანი გააძევა.

### რომა 1:0 პარმა

რომა: ჩერვონე, ალდაირი, ლანა, სტატუტო, პეტრუცი, კარბონი, მორიერო (87 პიაჩენტინი), კაპიოლი, ბალბო, ჯანინი, ფონსეკა (ტოტი 56).

პარმა: ბუჩი, ბენარივო, დი კიარა (85 მუსი), მინოტი, აპოლონი (37 ბრანკა), კოუტუ, პინი, დ. ბაჯო, სენსინი, ძოლა, ასპრილია.

62 638 მაყურებელი

არგენტინელმა ბალბომ კარგად შეარჩია პოზიცია და მეკარის მოგერიებულ ბურთს დროულად დაამატა. 22-ე წუთზე გატანილი ამ გოლის გარდა მასპინძლებს კიდევ ერთი რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ ტრავმირებული ფონსეკას მაგივრად გამოსულმა 18 წლის ფრანჩესკო ტოტიმ თავით დარტყმული ბურთი ცარიელ კარს ააცილა. „პარმა" კი, ეტყობა, ვეღარ უძლებს ორ ფრონტზე თამაშს და ახლა უფრო დიდ ყურადღებას უეფას თასს მიაქცევს.

2 აპრილი

### ფოჯა 4:1 პადოვა

ფოჯა: მანჩინი, პადალინო, ბუკარო, ნიკოლი, დი ბიაჯო, ბრეშიანი (70 შაკა), ბრესანი, კაპელინი (74 მარაცინა), დე ვინჩენცო, მანდელი.

პადოვა: ბონაიუტი, ბალერი (46 პერონე), გაბრიელი, ფრანჩესკეტი (51 როზა), კუიჩი, ლალასი, კრეეკი, ძორატო, ვლაოვიჩი, ლონგი, მანიერო.

13 741 მაყურებელი

ბრეშიანის (17), კაპელინის (26, 38) და ნიკოლის (62) ოთხ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ჰოლანდიელი კრეეკის ცაციათი უპასუხეს 31-ე წუთზე. ხუთი გოლის დარად გაფრთხილებაც ამდენივე იყო: კაინი, ბრეშიანი, ბალერი კრეეკი, კუიჩი. საინტერესოა, რომ ნახევარმცველმა პიერლუიჯი ნიკოლიმ, ვინც ზეგ 29 წლის ხდება, სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა.

### ჯენოა 1:1 ბარი

ჯენოა: მიკილო, დელ კარი, მარკოლინო, კარიკოლა, გალანტე, სინიორინი, რუოტოლო, მანიკონე, ვანტ სხიპი (83 კაოჩი), სკუპრავი, ონორატი.

ბარი: ფონტანა, მონტანარი, მანიგეტი (55 ანონი), ბიჯიკა (46 ჟერსონი), ამორუზო, რიჩი, გაუტიერი, პედონე, ტოვალიერი, ბარონე, პროტი.

19 453 მაყურებელი

მე-16 წუთზე ვანტ სხიპმა ბურთი წაართვა მეტოქეს და ონორატის კარგი პასი მისცა, ამანაც ივარგა. სტუმრებმა 62-ე წუთზე გაქვითეს — „ჯენოას" საჯარიმოში ჟერსონი მოცელეს და სანდრო ტოვალიერიმ, ვისაც უკვე 15 გოლი აქვს გატანილი, პენალტი ზუსტად შეასრულა! მასპინძლები შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ სკუპრავიმ სამჯერ გააცუდა დარტყმა.

### ფიორენტინა 4:0 ბრეშია

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, ლუპი, კოისი, მარსიუ სანტუში, მალუსკი, ა. კარბონე, დი მაურო (78 ტედესკო), ბატისტუტა, რუი კოშტა (69 ფლაკი), ბაიანო.

ბრეშია: ბალოტა, მარანგონი, ადანი, ბონომეტი, ფრანჩინი, ჯუნტა (62 დი მაური), ნერი, პიოვანელი, ნაპი (8 სკენარდი), კორინი, ბონეტი.

31 991 მაყურებელი

ბრწყინვალე ფორმაშია პორტუგალიელი რუი კოშტა: მან ჯერ დი მაუროს გაატანინა მე-4 წუთზე, შვიდ წუთში ბატისტუტაც დროულად მოინახა, 58-ეზე კი თავად ივაჟკაცა — მეკარისგან მიტოვებულ ცარიელ კარში 40 მეტრიდან მესამე გოლი გაიტანა. აქ მწვრთნელებმა მატჩის გმირი დაასვენეს, თუმცა მის მაგივრად გამოსულ 20 წლის ფრანჩესკო ფლაკისაც არ წაუხდენია თამაში და დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეოთხე გოლიც შეაგდო.

### ტორინო 3:2 კალიარი

ტორინო: პასტინე, ანგლომა, პასოტო, ფალკონე (72 ოზიო), პელეგრინი, მალტალიატი, რიციტელი, ბერნარდინი, სილენცი, პელე, კრისტალინი (68 შიენცა).

კალიარი: ფიორი, პანკარო, პუშედუ, ერერა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ბერეტა, ალეგრი, ოლივეირა, მუცი (70 სანა).

19 878 მაყურებელი

„კალიარის" ორივე გოლი მუციმ გაიტანა (4,64) და ორივეჯერ მისი ასისტენტი ოლივეირა იყო. მასპინძლებიდან პირველი გოლი რიციტელიმ გაქვითა 43-ე წუთზე, 70-ეზე კი სტუმართა მწვრთნელმა მუცი შეცვალა და... 77-ე და 78-ე წუთებზე განელმა აბედი პელემ სეხნიის დარად აიშვა და ჯერ რიციტელის ქუსლური პასი გამოიყენა, მერე კი ტანმაღალ მცველებს თაურშიც აჯობა და სარდინიელები შინ უქულოდ გაამგზავრა.

### ნაპოლი 2:0 სამპდორია

ნაპოლი: ტალიალატელა, მატრ..., ტარანტინო, პარი, კანავარო, კრუსი, ბუზო (83 ლერდა), ბორდინი, აგოსტინი, ბ. კარბონე, პეკია.

სამპდორია: ძენგა, სერენა, როსი, გულიტი, ვერხოვენი (46 საკეტი), მიხაილოვიჩი, ლომბარდო, პლატი, მანჩინი, ევანი (70 ბელუჩი).

30 000 მაყურებელი

წინა ტურში შინ „მილანთან" 0:3 წაგების შემდეგ გენუელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა დაცვაში ცვლილება მოახდინა და 25 წლის მიკელე სერენას 30 წლის მარკო როსი ამჯობინა, მაგრამ ამანაც არ უშველა. 33-ე წუთზე ბენიტო კარბონეს მიერ გატანილ გოლამდე სტუმრებს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ჯუზეპე ტალიალატელას ვერაფერი მოუხერხეს. პირველი ტაიმის დამთავრებას ორი წუთი უკლდა, როცა მასიმო აგოსტინიმ მეორედ აილო ძენგას კარი. თამაშის მეორე ნახევარში საინტერესო არაფერი მომხდარა. „სამპდორია" პორტუში პენალტებით მოგების შემდეგ ლონდონს მოგებას გადაჩვეული ესტუმრება, თან ნეაპოლის მატჩი სარეპეტიციოდაც ვერ გამოდგებოდა, რადგან პლატი და გულიტი „არსენალთან" არ ითამაშებენ.

### კრემონეზე 0:0 ლაციო

კრემონეზე: ტურჩი, გარსია (73 კრისტიანი), მილანეზე, დალ ინია, გუალკო, პედრონი, ფერარონი, ჯანდებიაჯი, კიეზა, სკლოზა (64 ტენტონი), ფლორიანჩიჩი.

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (73 ნესტა), შამოტი, დი მატეო, ბერგოდი, კრავერო, რამბაუდი (59 ბონომი), ფუზერი, ბოკშიჩი, ვინტერი, კაზირაგი.

8 563 მაყურებელი

„კრემონეზე" აშკარად სჯობდა მეტოქეს, მაგრამ ყველაზე გამორჩეულ სლოვან მატიას ფლორიანჩიჩს და მის პარტნიორებს ფორტუნამ ზურგი შეაქცია. „ლაციო" მხოლოდ მასპინძელთა შეტევების ჩაშლას ლამობდა და სამ ყვითელსა (ფუზერი, კრაფერო, ვინტერი) და ერთ წითელ (ბერგოდი 58) ბარათს გამორჩა.



პორტუგალიელმა რუი კოშტამ („ფიორენტინა") თავად გაიტანა გოლი და თანაგუნდელებს პასებიც ჩამოურიგა

### რეჯანა 0:1 ინტერი

რეჯანა: ანტონიოლი, კერუბინი, გამბარო (72 ბრამბილა), დე ნაპოლი, გრეგუჩი, დე აგოსტინი, მაცოლა (23 ფალკო), ოლისე, რუი აგუში, სკრაბოსა, ესპოზიტო.

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, პაგანინი, ორლანდო, ფესტა, ბია, ბიანკი (64 სოსა), იონკი (37 დელ ანო), დელვეკიო, ბერხკამპი, ბერტი.

14 956 მაყურებელი

31 წლის ჯუზეპე ბერგომის ჩინებული გოლის გარდა „ინტერს" კიდევ ორი რეალური მომენტი ჰქონდა — ბერტიმ ძელს გაარტყა, ბერხკამპის დარტყმული ბურთი კი მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. მასპინძლებიდან მხოლოდ 22 წლის მასიმილიანო ესპოზიტოს აღნიშვნა შეიძლება. „ინტერს" 12 თებერვლის მერე არ წაუგია, პალიუკას კი 26 თებერვლის მერე გოლი ვერავინ გაუტანა.

ლევან ბახტაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 25 | 18 | 4 | 3 | 41-20 | 58 |
| პარმა | 25 | 14 | 7 | 4 | 40-22 | 49 |
| რომა | 25 | 12 | 8 | 5 | 31-18 | 44 |
| მილანი | 25 | 11 | 9 | 5 | 34-23 | 42 |
| ლაციო | 25 | 12 | 5 | 8 | 55-31 | 41 |
| ფიორენტინა | 25 | 10 | 9 | 6 | 44-37 | 39 |
| ინტერი | 25 | 10 | 8 | 7 | 25-20 | 38 |
| ტორინო | 25 | 10 | 6 | 9 | 31-30 | 36 |
| სამპდორია | 25 | 9 | 8 | 8 | 38-27 | 35 |
| კალიარი | 25 | 9 | 8 | 8 | 28-28 | 35 |
| ნაპოლი | 25 | 8 | 10 | 7 | 31-35 | 34 |
| ბარი | 25 | 9 | 4 | 12 | 26-33 | 31 |
| ფოჯა | 25 | 7 | 7 | 11 | 25-35 | 28 |
| ჯენოა | 25 | 7 | 7 | 11 | 25-36 | 28 |
| კრემონეზე | 25 | 7 | 5 | 13 | 20-27 | 26 |
| პადოვა | 25 | 8 | 2 | 15 | 26-49 | 26 |
| რეჯანა | 25 | 3 | 5 | 17 | 17-34 | 14 |
| ბრეშია | 25 | 2 | 6 | 17 | 13-45 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 20
აბელ ბალბო (რომა) — 16
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 15
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 13
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 13
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 13
პიერ-ლუიჯი კაზირაგი (ლაციო) — 11
მარკო სიმონე (მილანი) — 11
რუუდ გულიტი (სამპდორია) — 10
რობერტო მუცი (კალიარი) — 10
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 10
ფაბრიციო რავანელი (იუვენტუსი) — 9

„სერია A"-ში გადასასვლელი ოთხი საგზურისთვის კი ცხრა გუნდი იბრძვის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 28 | 15 | 12 | 1 | 47-17 | 57 |
| უდინეზე | 28 | 12 | 12 | 4 | 44-26 | 48 |
| სალერნიტანია | 28 | 13 | 7 | 8 | 43-33 | 46 |
| ვიჩენცა | 28 | 10 | 15 | 3 | 24-15 | 45 |
| ანკონა | 28 | 12 | 8 | 8 | 40-35 | 44 |
| ატალანტა | 28 | 10 | 13 | 5 | 32-27 | 43 |
| ჩეზენა | 28 | 10 | 11 | 7 | 33-27 | 41 |
| პერუჯა | 28 | 8 | 14 | 6 | 27-23 | 38 |
| ვერონა | 28 | 8 | 13 | 7 | 31-28 | 37 |

# გერმანია

XXIV ტური. 31 მარტი. დუისბურგი — ბოხუმი 3:1, აინტრახტი — შალკე 0:3. 1 აპრილი. მიუნხენ 1860 — დინამო 3:1, კიოლნი — ბაიერნი 3:1, დორტმუნდი — ურდინგენი 3:1, კაიზერსლაუტერნი — კარლსრუე 0:0, მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი 1:2, შტუტგარტი — ლევერკუზენი 4:2. 2 აპრილი. ჰამბურგი — ვერდერი 0:0

## მოდაშია 3:1

პარასკევს დაგეგმილი ორი მატჩის ოთხი მონაწილიდან ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში „აინტრახტი" იყო — კეპკე, ვებერი და ცხადაძე თბილისის მატჩის შემდეგ მხოლოდ ხუთშაბათს ჩავიდნენ ფრანკფურტში. ეს იყო მიზეზი თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს: „შალკემ" 3:0 მოიგო. ჩვენი ნაკრების კაპიტანი სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ გაშვებულ გოლებში ბრალი არ მიუძღვის. სამაგიეროდ, ფრანკფურტელთა მთავარი ბრალეული, მწვრთნელი იუპ ჰაინკესი გადადგა.

შაბათს ტურის ძირითადი ნაწილი ჩატარდა. 1 აპრილი კი იყო, მაგრამ „ბაიერნის" იტალიელ მწვრთნელ ტრაპატონის რა გააღიმებდა — წინა ტურში რის ვაი-ვაგლახით მოგებული მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტმა კიოლნშიც ერთობ უსახურად ითამაშა და დამარცხდა. მასპინძლები თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს (რომელიც პირველ ნახევარ საათში სულ სამჯერ მიუახლოვდა „კიოლნის" საჯარიმოს) და პოლსტერმა ორი მომენტი გააცუდა. 43-ე წუთზე პაბლო ტიამმა ბოლოსდაბოლოს გამოიყენა უპირატესობა, მაგრამ ორ წუთში სტუმრებს ბოდო ილგნერი წაეხმარა: ბურთი ხელიდან გაუვარდა და მარკუს ბაბელმა სამი მეტრიდან წონასწორობა აღადგინა. ტაიმი არალოგიკურად კი დამთავრდა, მაგრამ ნათელი იყო, იმ დღეს „ბაიერნი" მაინც წააგებდა. ასეც მოხდა. ტონი პოლსტერმა 62-ე და 73-ე წუთებზე გატანილი ორი გოლით აღნიშნა თავისი ახალი ვარცხნილობა, რომელიც კიკინამ დაამშვენა. საბოლოოდ — 3:1.

ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა ლიდერმა, თუმცაკი პირველი გოლი ურდინგენელთა კარში აშკარად შემთხვევით გავიდა: დორტმუნდელთა მცველი მარტინ კრეე შეტევაში ჩაერთო, მაგრამ ბურთი დაიკარგა და ესეც, უკან ჩასვლას მაინც ვეღარ მოვასწრებო, გადაეღობა სტუმართა მცველს, რომლის დარტყმული ბურთი დაწოლილ კრეეს მოხვდა, ურდინგენელთა მეკარეს თავზე გადააფრინდა და კარში ჩაეშვა. ამის მერე დორტმუნდელებმა 53-ე წუთზე კაპიტან ცორკის პენალტით გაიხარეს, 86-ე წუთზე კი იმარჯვა იბრაჰიმ ტანკომ, ვინც მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა პირველად დააყენა ძირითად შემადგენლობაში. ბოლოსწინა წუთზე პასლაკმა პრესტიჟის გოლი გაიტანა და ტურის მოდური ანგარიში დააფიქსირა.

მიუნხენშიც არ ჩამორჩნენ მოდას. ორი მაჩანჩალას დუელი სტუმართა მიერ გაცუდებული პენალტით დაიწყო, მერე კი ერჰარდმა (25) და ვინკლერმა (48, 70) სამი გოლი გაუტანეს დინამოელთა ოს მეკარე ჩერჩესოვს. დრეზდენის გოლი მიხაელ შპისის ანგარიშზეა (49).

ბუნდესლიგელებს მუდამ სჩვეოდათ მოულოდნელი შედეგები, მაგრამ ამ ფონზე კი მკვეთრად გამოირჩევა „ფრაიბურგი", რომლის მატჩებიც მისწრებაა ტოტალიზატორის მფლობელთათვის. ახლაც, შინ უფერული შედეგების შემდეგ „ფრაიბურგმა" ჯერ ლევერკუზენში მოიგო, შაბათს კი მიონხენგლადბახშიც იზეიმა. მე-17 წუთისთვის საქმე უკვე მოთავებული იყო. დამირ ბურიჩის (13) და უკვე ვასმერის (15) გოლებს დალინმა უპასუხა და მასპინძლებს ამით დაკმაყოფილებამ მოუწიათ. გოლებისა და წითელი ბარათების სიუხვით გამოირჩეოდა მატჩი შტუტგარტში. მე-16 წუთზე ამ სეზონში ციურიჰის „გრასჰოპერსიდან" გადასულმა ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა დააწინაურა მასპინძლები. 16 წუთში ანდრეას ბუკმა მეორე გოლი შეაგდო. თანამემამულემ არ მაჯობოსო და, აქ სტუმართა ბრაზილიელი პაულუ სერჟიოც ათამაშდა და 34-ე წუთზე პენალტით სხვაობა შეამცირა, ტაიმის ბოლო წუთზე კი ფიოლერმა თაურით გააყაიმა. მეორე ტაიმის დასაწყისში მაპინძელთა 22 წლის თავდამსხმელმა მარკ კინლემ კვლავ დააწინაურა თავისიანები. მდგომარეობა დაიძაბა, მოთამაშეები მეტოქის ფეხებს უფრო ხალისით ურტყამდნენ, ვიდრე ბურთს. 61-ე წუთზე მსაჯმა ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, შტუტგარტელი თომას ბერთოლდი გააძევა, ორიოდ წუთში კი მას ამჟამინდელი ნაკრების კანდიდატი, თბილისში ტურისტად ჩამოსული კრისტიან ვიორნსი დაადევნა და გუნდები ათკაციან თამაშში გაწვრთნა. ამაშიც მასპინძლებმა იმარჯვეს: თავისივე სოლო რეიდი ეფექტურად დაამთავრა ელბერმა — 2:4. სერჟიოს ისევ შეშურდა, მაგრამ ისე ანერვიულდა, პენალტიც კი ძელს გაარტყა.

დღის ერთადერთი უგოლო თამაში კაიზერსლაუტერში აღინიშნა, მაგრამ ამაში მსაჯები არიან დამნაშავენი — მასპინძელ შტეფან კუნცს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს და თამაშგარე დაუფიქსირეს.



ტონი პოლსტერმა კიკინა მოიზარდა

კვირას „ვერდერს" შეეძლო დასწეოდა „დორტმუნდს". კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა მარიო ბასლერმა, მაგრამ მთელი მისი მცდელობა წყალში გადაყარა რუსმა ბესჩასტნიხმა, ვინც ხუთი საგოლე მომენტი გააფუჭა და ბოლოს შეცვალეს კიდეც.

გიგა კოგახიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 24 | 15 | 6 | 3 | 51-22 | 36 |
| ვერდერი | 24 | 15 | 5 | 4 | 47-25 | 35 |
| კაიზერსლაუტ. | 24 | 12 | 9 | 3 | 34-24 | 33 |
| გლადბახი | 24 | 13 | 6 | 5 | 51-28 | 32 |
| ფრაიბურგი | 24 | 14 | 4 | 6 | 50-35 | 32 |
| ბაიერნი | 24 | 9 | 12 | 3 | 41-32 | 30 |
| კარლსრუე | 24 | 8 | 10 | 6 | 33-30 | 26 |
| შტუტგარტი | 24 | 8 | 8 | 8 | 42-43 | 24 |
| ჰამბურგი | 24 | 8 | 7 | 9 | 32-31 | 23 |
| კიოლნი | 24 | 8 | 7 | 9 | 39-40 | 23 |
| ლევერკუზენი | 24 | 7 | 8 | 9 | 40-37 | 22 |
| შალკე | 24 | 7 | 8 | 9 | 33-35 | 22 |
| აინტრახტი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-38 | 21 |
| ურდინგენი | 24 | 3 | 10 | 11 | 23-35 | 16 |
| ტსვ მიუნხენი | 24 | 4 | 8 | 12 | 26-45 | 16 |
| დუისბურგი | 24 | 4 | 7 | 13 | 20-41 | 15 |
| ბოხუმი | 24 | 6 | 2 | 16 | 28-51 | 14 |
| დინამო | 24 | 3 | 6 | 15 | 21-45 | 12 |

# ესპანეთი

XXVII ტური. 1 აპრილი. **სარაგოსა — ბეტისი 3:0, ვალენსია — ლა კორუნია 1:2.** 2 აპრილი. **სევილია — ოვიედო 1:1, სოსიედადი — ვალიადოლიდი 3:0, ტენერიფე — ბარსელონა 2:1, ატლეტიკო — სელტა 0:2, კომპოსტელა — რეალი 1:1, ესპანიოლი — ლოგრონიესი 2:0, რასინგი — ალბასეტე 2:1, სპორტინგი — ატლეტიკი 1:1.**

## «ტენერიფემ» უღალატა...

შაბათს „დეპორტივომ" ვალენსიაში აშკარად დაჯაბნა მეტოქე და როგორც 24 საათის შემდეგ აღმოჩნდა, ცხრილში მეორე ადგილი დაიბრუნა. 38-ე წუთზე ლა კორუნიელთა შეტევა ადოლფო ალდანამ ზუსტად ისევე დაამთავრა, როგორც ორიოდ საათის წინ რავანელიმ მილანში — თავზე გადაუგდო ბურთი როსივით ახმახ სუბისარეტას და თაურით სეზონში თავის მეოთხე გოლი გაიტანა. ამ მომენტში მასპინძლები ოფსაიდს აკეთებდნენ, მაგრამ მათივე ბრაზილიელი მაზინო ამას ვერ მიხვდა და ალდანამაც იხეირა. მეორე ტაიმი სამი წუთის დაწყებული იყო, როცა კლაუდიო მანხარინის ჩაწოდებულ ბურთს ვალენსიელთა მცველი ოტერო მიწვდა და თავის კარში ჩაჭრა. დარჩენილ დროში ბულგარელმა პენევმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ეს ბოლოსწინა წუთზე მოხდა და მეტის გაკეთება მასპინძლებმა ველარ მოასწრეს.

კვირას დიდი ამბავი იყო სანტიაგო დე კომპოსტელაში. 1962 წელს დაარსებული ეს კლუბი პირველად ხვდებოდა მშობლიურ „სან ლასაროზე" მადრიდის „რეალს" და რასაკვირველია, სტადიონზე გაუყიდავი ბილეთი არ დარჩენილა, თუმცაკი მათი ფასი კვირისთვის 90 დოლარამდე ავიდა. საბოლოოდ „კომპოსტელას" გულშემატკივრები კმაყოფილები დარჩნენ: მათმა კერპებმა არათუ გაქვითეს რაულის გოლი, გამარჯვებასთანაც უფრო ახლოს იყვნენ, მაგრამ... დასაწყისისთვის ესეც იკმარეს. შედეგით, ალბათ, „რეალიც" კმაყოფილი დარჩა — ორიოდ საათში „ბარსელონას" ორგზის მშველელმა „ტენერიფემ" ამჯერად უღალატა ტრადიციას და ახლა ლიდერსა და „ბარსას" შორის სხვაობა ექვს ქულამდე გაიზარდა. სანტა-კრუს დე ტენერიფეში მთავარ მოქმედ პირად მსაჯი იქცა. მან პირველ ტაიმში ბეგირისტაინის ვითომ წაქცევისთვის მასპინძელთა მეკარე გააძევა და პენალტიც დანიშნა. შემცვლელად გამოსული სათადარიგო მეკარე, 23 წლის არგენტინელი ხოსე მარია ბულიუბაშიჩი კუმანის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ არ შედრკა და ცნობილ დამრტყმელს ბურთი აუღო. მეორე ტაიმის დასაწყისში ამორმა მოახერხა „ტენერიფეში" ამ სეზონში „როსარიო სენტრალიდან" გადასული ქერა არგენტინელის კარში გოლის გატანა, მაგრამ ყოფილი თანამემამულის შური გაესპანელებულმა პიციმ იძია: ერთი გოლი თავად გაიტანა, მეორეს გატანაში დაეხმარა და „ტენერიფეს" კრუიფის მეგობარი გუნდის იარლიყი ჩამოაშორა. საინტერესო გამოდგა მატჩი სევილიაში, სადაც მასპინძლები ხორვატი შუკერის ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ, მაგრამ არც მეორე ხორვატი — პროსინეჩკი — აღმოჩნდა ჯაბანი: ბოლო წუთზე ჩინებული პასი გაუკეთა 33 წლის კარლოსს და ამანაც გააგრძელა „ოვიედოს". წაუგებელი სერია, რომელიც აგერ უკვე 11 (!) ტურს ითვლის. ალბათ, ასეთსავე სერიაზე ოცნებობდა მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი, როცა მორიგი მწვრთნელის ალფიო ბასილეს მისვლის შემდეგ გუნდმა რამდენიმე თამაში მოიგო, მაგრამ გუშინწინ ბასილეს ფეხბურთელებმა ისე უსუსურად ითამაშეს, მადრიდელმა გულშემატკივრებმა „სელტა-სელტას" სკანდირებით გააცილეს გუნდები. ჯერჯერობით უცნობია, გააძევებს თუ არა ხილი ბასილეს. თუ ქვემოთმოყვანილ ცხრილს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს არც ისე არარეალურია.



ამან კუმანს პენალტი აუღო!

ზურაბ მეძველია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 27 | 16 | 8 | 3 | 60-21 | 40 |
| ლა კორუნია | 27 | 13 | 8 | 6 | 40-24 | 34 |
| ბარსელონა | 27 | 14 | 6 | 7 | 44-34 | 34 |
| სარაგოსა | 27 | 14 | 5 | 8 | 38-32 | 33 |
| ბეტისი | 27 | 10 | 12 | 5 | 31-17 | 32 |
| სევილია | 27 | 11 | 8 | 8 | 35-27 | 30 |
| ტენერიფე | 27 | 11 | 7 | 9 | 42-35 | 29 |
| ესპანიოლი | 27 | 10 | 9 | 8 | 33-26 | 29 |
| ოვიედო | 27 | 10 | 9 | 8 | 33-28 | 29 |
| ატლეტიკი | 27 | 9 | 10 | 8 | 22-25 | 28 |
| ვალენსია | 27 | 9 | 9 | 9 | 37-32 | 27 |
| სოსიედადი | 27 | 8 | 10 | 9 | 38-35 | 26 |
| რასინგი | 27 | 10 | 5 | 12 | 33-35 | 25 |
| ატლეტიკო | 27 | 9 | 6 | 12 | 40-40 | 24 |
| სელტა | 27 | 7 | 10 | 10 | 23-34 | 24 |
| ალბასეტე | 27 | 6 | 11 | 10 | 33-41 | 23 |
| კომპოსტელა | 27 | 7 | 9 | 11 | 26-36 | 23 |
| სპორტინგი | 27 | 6 | 10 | 11 | 31-49 | 22 |
| ვალიადოლიდი | 27 | 5 | 8 | 14 | 17-49 | 18 |
| ლოგრონიესი | 27 | 1 | 8 | 18 | 9-45 | 10 |

ბომბარდირები

ივან სამორანო (რეალი) — 21
მეხო კოდრო (სოსიედადი) — 20
დავორ შუკერი (სევილია) — 14
პრედრაგ მიიატოვიჩი (ვალენსია) — 12
ხუან ანტონიო პიცი (ტენერიფე) — 12
კარლოსი (ოვიედო) — 12



# ხესუს ხილის მწვრთნელები

| | |
|---|---|
| არმანდო უფარტე | 22.03.88 — 12.04.88 |
| ანტონიო ბრიონესი | 12.04.88 — 25.05.88 |
| ხოსე მარია მაგურეგი | 15.07.88 — 06.10.88 |
| ანტონიო ბრიონესი | 06.10.88 — 13.10.88 |
| რონ ატკინსონი | 13.10.88 — 17.01.89 |
| კოლინ ედისონი | 17.01.89 — 11.06.89 |
| ანტონიო ბრიონესი | 12.06.89 — 25.06.89 |
| ხავიერ კლემენტე | 25.07.89 — 27.02.90 |
| ანტონიო ბრიონესი | 27.02.90 — 07.03.90 |
| ხოაკინ პეირო | 07.03.90 — 27.08.90 |
| სანტოს ოვეხერო | 27.08.90 — 05.09.90 |
| ტომისლავ ივიჩი | 05.09.90 — 11.06.91 |
| სანტოს ოვეხერო | 19.06.91 — 30.06.91 |
| ლუის არაგონესი | 30.06.91 — 05.02.93 |
| სანტოს ოვეხერო | 05.02.93 — 12.02.93 |
| ომარ პასტორისა | 12.02.93 — 12.03.93 |
| სანტოს ოვეხერო | 12.03.93 — 25.03.93 |
| კაჩო ერედია | 01.04.93 — 01.07.93 |
| ჟაირ პერეირა | 01.07.93 — 22.10.93 |
| ემილიო კრუსი | 22.10.93 — 16.01.94 |
| ხოსე ლუის რომერო | 16.01.94 — 25.02.94 |
| სანტოს ოვეხერო | 25.02.94 — 20.03.94 |
| ხორხე დ ალესანდრო | 20.03.94 — 30.06.94 |
| ფრანსისკო მატურანა | 30.06.94 — 30.10.94 |
| ხორხე დ ალესანდრო | 31.10.94 — 20.02.95 |
| ალფიო ბასილე | 21.02.95 — ? |

# ინგლისი

პირველობა. 1 აპრილი: **არსენალი — ნორვიჩი 5:1, ჩელსი — ნიუკასლი 1:1, ქოვენთრი — ქუინზ პარკი 0:1, კრისტალ პალასი — მანჩესტერ სიტი 2:1, ევერტონი — ბლექბერნი 1:2, იფსვიჩი — ასტონ ვილა 0:1, ლესტერი — უიმბლდონი 3:4, შეფილდ უენსდეი — ნოტინგემი 1:7.** 2 აპრილი: **მანჩესტერ იუნაიტედი — ლიდსი 0:0, საუთჰემპტონი — ტოტენჰემი 4:3**

„კოკა-კოლას" ლიგის თასის ფინალი. 2 აპრილი: **ლივერპული — ბოლტონ უონდერერსი 2:1**

## «ლივერპული» უეფას თასზე

„ლივერპულმა" უეფას თასზე მონაწილეობა გაინაღდა, როცა კვირადღეს „უემბლიზე" სეზონის პირველი, ოღონდაც მაისის მესამე შაბათს გასამართზე უმნიშვნელო ფინალი — „კოკა-კოლას ლიგის თასისა" მოუგო პირველი დივიზიონის წარმომადგენელს, ოდესღაც სახელოვანი სათასო ტრადიციების მქონე „ბოლტონს".

იან რაშმა ეს თასი მეხუთედ მოიპოვა. მან კარგად ითამაშა, ნორჩმა სთივ მაკმანამანმა კი — უკეთ. 36-ე წუთზე სწორედ ამ კაცმა განახორციელა 40-მეტრიანი რეიდი, გასცდა სამ მეტოქეს და პირველი ბურთი გაიტანა. 52-ე წუთზე მანვე ანგარიში 2:0 გახადა, მერე კი ალან თომსონმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა. „ლივერპულმა" დამსახურებულად გაიმარჯვა.

ჩემპიონატში ლიდერმა — „ბლექბერნ როვერსმა" მეტად გაასწრო შარშანდელ ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს". შაბათს „ბლექბერნი" ლივერპულის „გუდისონ პარკზე" „ევერტონს" ეწვია და სტუმრობა „პირველობის" შემოღებიდან მოყოლებული უსწრაფესი გოლითაც აღნიშნა: ქრის სათონმა ანგარიში მე-14 წამზე გახსნა. მერე ლიდერმა ბლიც-კრიგი განავითარა: მეშვიდე წუთზე გრემ ლესომ საჯარიმო ჩააწოდა სათონს, ამან კი ალან შირერი მონახა, რომელმაც სეზონის 34-ე გოლი გაიტანა. შესვენებამდე (30-ე წუთზე) მასპინძლებმა (სტიუარტმა) ერთი გოლი გაქვითეს, თამაშის ბოლოს კი შტურმიც წამოიწყეს, მაგრამ 38-ათასიანი აუდიტორიის თვალწინ მაინც დამარცხდნენ.

კვირას ვერ ივარგა „მანჩესტერ იუნაიტედმა", ვინაც შინ, „ოლდ ტრაფორდზე" ბურთი ვერ გაუტანა „ლიდსს". მეტიც, როგორც „იუნაიტედის" მენეჯერს ალექს ფერგიუსონსა და ძველ ვარსკვლავს, დენის ლოუს უღიარებიათ, ლიდსელებს უნდა გაემარჯვათო. ამ ფრეს მერე ჩემპიონი ხუთი ქულით ჩამორჩა ლიდერს. სამაგიეროდ, ერთი თამაშით მეტი აქვს გამართული.

ტურში ორი თამაში საშინელი ანგარიშით დასრულდა. „ჰაიბრის" სტადიონზე „ლუთონთაუნიდან" „არსენალის" მიერ შეძენილმა 20 წლის უელსელმა ჯონ ჰარტსონმა სტუმარ „ნორიჩს" საწყის 13 წუთში სამი გოლი გაუტანა. მატჩი 5:1 დასრულდა, მასპინძელთა ერთი გოლი კი გამოსწორებული ნარკომანის პოლ მერსონის ანგარიშზეა.

შეფილდში, „ჰილსბოროს" სტადიონზე მასპინძელი „უენსდეი" მთლად დაიბრიყვა „ნოტინგემ ფორესტმა". ანგარიში საჯარიმოთი გახსნა პირსმა, მერე ვოენმა მეორე გოლი გაიტანა, ბოლოს კი ჰოლანდიელი როისა და კოლიმორის ჯერიც დადგა: პირველმა მესამე და მეოთხე ბურთები გაიტანა, მეორემ — მეხუთე და მეექვსე. მეშვიდე გოლი ნორვეგიელი ბოჰინენის ანგარიშზეა, მასპინძელთა ერთადერთი გოლი კი ბრაითმა პენალტით გაიტანა.

ფიცხელი ბრძოლაა გაჩაღებული ცხრილის კუდშიც. ინგლისმა ურუგვაისთან თამაშის წინ დაიწუნა საუთჰემპტონელი მეთიუ ლეტიზიე, ამან კი „ტოტენჰემს" ორი ბურთი შეუგდო. ორი გოლი გაიტანა ლონდონელმა შერინგემმაც. ანგარიში საყაიმო იყო (3:3), მაკჯილტონმა 61-ე წუთზე გატანილი გოლით „საუთჰემპტონს" სამი ქულა რომ მოაპოვებინა.

უიმედო მაჩანჩალაა „ლესტერი". შინ ერთობ გაუძალიანდა „უიმბლდონს", რომელიც უეფას თასზე გამსვლელ ადგილს უმიზნებს. „ფილბერტ სტრიტზე" ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხანაც — მეორე. 84-ე წუთზე ლოურენსმა „ლესტერი" უკანასკნელად გაიყვანა წინ (3:2), მაგრამ დარჩენილ დროში ლეონარდსენმა და გუდმენმა „უიმბლდონს" მაინც გამარჯვებინეს. მათვე გაიტანეს თავის გუნდის პირველი ორი ბურთიც.

კევინ კიგანის „ნიუკასლს" „სტამფორდ ბრიჯზე" წინა სამი სტუმრობა მარცხიანად დასრულებოდა. ამჯერად კიგანელებმა „ჩელსისთან" ფრეს 1:1 მიაღწიეს. ანგარიში ექს-ნიუკასლელმა, აწ კი ლონდონელმა პიკოკმა გახსნა, მაგრამ შვეიცარიელმა მარკ ჰოტიგერმა გაათანაბრა.

„ქუინზ პარკმა" „ჰაიფილდ როუდზე" ათი კაცითაც დაამარცხა მასპინძელი „კოვენტრი". გოლი 22 მეტრიდან გაიტანა სინკლერმა, ჯერ კიდევ შესვენებამდე კი ჰოლოვეი გააძევეს.

გასავარდნი ზონისთვის თავის დაღწევას ცდილობს ლონდონის „კრისტალ პალასიც". მისმა ასევე გამოსწორებულმა ნარკომანმა ქრის არმსტრონგმა პირველი ბურთი შეუგდო „მანჩესტერ სიტის". მერე სტუმრებმა გერმანელი უვე როსლერის გოლით ანგარიში გაათანაბრეს. „პალასს" გაამარჯვებინა დარენ პატერსონმა.

დავით მჭედლიშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 35 | 24 | 7 | 4 | 72-30 | 79 |
| მანჩესტერ იუნ. | 36 | 22 | 8 | 6 | 66-24 | 74 |
| ნიუკასლი | 35 | 18 | 10 | 7 | 57-37 | 64 |
| ნოტინგემი | 36 | 18 | 9 | 9 | 63-39 | 63 |
| ლივერპული | 32 | 16 | 10 | 6 | 54-26 | 58 |
| ლიდსი | 34 | 14 | 11 | 9 | 44-33 | 53 |
| ტოტენჰემი | 34 | 14 | 10 | 10 | 55-46 | 52 |
| უიმბლდონი | 35 | 15 | 6 | 14 | 45-57 | 51 |
| ქუინზ პარკი | 33 | 13 | 8 | 12 | 51-50 | 47 |
| არსენალი | 35 | 11 | 10 | 14 | 41-41 | 43 |
| შეფილდ უენ. | 36 | 11 | 10 | 15 | 44-53 | 43 |
| ქოვენთრი | 36 | 10 | 13 | 13 | 37-54 | 43 |
| ასტონ ვილა | 35 | 10 | 12 | 13 | 47-48 | 42 |
| ნორვიჩი | 35 | 10 | 12 | 13 | 34-43 | 42 |
| მანჩესტ. სიტი | 35 | 10 | 11 | 14 | 44-54 | 41 |
| ჩელსი | 34 | 10 | 11 | 13 | 41-47 | 41 |
| საუთჰემპტონი | 33 | 8 | 15 | 10 | 48-54 | 39 |
| ევერტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 38-48 | 39 |
| კრისტ.პალასი | 33 | 9 | 10 | 14 | 25-35 | 37 |
| ვესტ ჰემი | 34 | 10 | 7 | 17 | 33-44 | 37 |
| იფსვიჩი | 34 | 6 | 5 | 23 | 31-76 | 23 |
| ლესტერი | 35 | 4 | 9 | 22 | 39-70 | 21 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხეთში** პრაღის „სპარტამ" გაუშვა გერმანელი მწვრთნელი იოხენ ზანდერმანი. მიზეზი ვერავინ გაიგო, რადგან ზანდერმანი გუნდს სათავეში წლეულს ჩაუდგა და მეორე ადგილზე მიჰყავდა.

**გამბიის** ნაკრების მწვრთნელმა ალჰაჯი სილასიმ ფეხბურთის ფედერაციაში გადადგომა ითხოვა. გამბიელებს აფრიკის მესამე შესარჩევ ჯგუფში ორი თამაში წაუგიათ, ორიც ფრედ უთამაშიათ და ბოლო ადგილზე არიან.

**არგენტინაში** ოთხი დღე ეძებდნენ დიეგო მარადონას. მისი ბედით ქვეყნის პრეზიდენტი კარლოს მენემიც დაინტერესდა. ბოლოს დაკარგული ბუენოს-აირესის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში ჩაკეტილი იპოვნეს. მან უკვე მესამედ გააცდინა სადისციპლინო ტრიბუნალის სხდომა. დიეგოს ჟურნალისტებზე პნევმატური იარაღით გაწევასა და სროლისთვის 4 წელი ციხე ელოდება.

**გერმანიის** ჩემპიონატში გაძევებული ვეტერანი ბერნდ შუსტერი 6 თამაშს გამოტოვებს. იგი უხეშობისა და უსაქციელობისთვის დასაჯეს.

**ინგლისში** შედგა „მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მოთამაშის ერიკ კანტონას მორიგი სასამართლო განაჩენი: კანტონამ 120 საათი, უჯამაგიროდ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა უნდა გასწიოს. ასეთი სასჯელის დროს ვის ქუჩებს აგვევინებენ, ვის კიდევ სხვა რამეს აიძულებენ, ფეხბურთელს კი ბავშვების გაწვრთნა დაავალეს. საგულისხმოა, რომ მოსამართლეს ბრალდებული შესცოდებია და უთქვამს, ამას ისეთი პროვოკაცია მოუწყვეს, რკინის ნერვებიც რომ ჰქონოდა, მაინც იჩხუბებდაო. კანტონას ვექილი ჟანჟაკ ბერტრანი ახლა მისი კლიენტის ინგლისიდან საერთოდ წასვლის საკითხს სწავლობს. თავად მოთამაშეს პროცესის ბოლოს შეკრებილი ინგლისური საზოგადოებისთვის ფრანგულად მიუმართავს, თოლიები თევსაჭერ გემებს იმიტომ მისდევენ, რომ ჩამოცვენილი თევზების აკენკვას ლამობენო. საზოგადოებას განუცხადებია, რას გულისხმობდა, ვერ მივხვდითო. კანტონასთან ერთად მილანის „ინტერს" იუნაიტედელთა პოლ ინსიც სდომებია, მაგრამ პასუხად, ეგ კაცი საგაისო ევროთასებზე ინგლისს სჭირდებაო, უთქვამთ.

**საფრანგეთშიც** სასამართლოები გაიმართა. „მარსელის" ექს-პრეზიდენტს ბერნარ ტაპის დაუდგინეს, რომ მას და მის მეულლეს 320 მილიონი დოლარი აქვთ ვალად. აქედან 50 მილიონი „მარსელის" ვალია. ტაპი გაკოტრებულად გამოაცხადეს და ფრანგთა პარლამენტიდანაც დაითხოვეს და ევროპარლამენტიდანაც. გუნდს, როგორც ჩანს, გაყიდიან. ბასტიაში კი 1992 წლის მაისში „ფურიანის" სტადიონის დროებითი ტრიბუნის ჩანგრევის საქმე განიხილეს. „ბასტიას" ვიცე-პრეზიდენტს 2 წელი მიუსაჯეს, უსაფრთხოების ინსპექტორს 1,5 წელი, საფეხბურთო ლიგის სამ მუშაკსაც პატიმრობა მოუწევს. დარბაზში შეკრებილმა დაღუპულთა ახლობლებმა დიდი დებოში მოაწყვეს, სასჯელი ლმობიერიაო.

**გერმანელი** რუდი ფიოლერი თავის ყოფილ გუნდს მარსელის „ოლიმპიკს" უჩივის. თურმე კლუბი მას საშემოსავლო გადასახადის გასტუმრებას დაპირებია, მაგრამ პირი უტეხია. ფეხბურთელი 1,2 მილიონ დოლარს ითხოვს.

**იუგოსლავიაში**, გაეროს **1992** წლის სანქციების მერე, პირველად ჩატარდა საერთაშორისო მატჩი. ამ ქვეყნის ნაკრებმა მოუგო ურუგვაის 1:0. გოლი 71-ე წუთზე სავა მილოშევიჩმა გაიტანა.

**ეგვიპტის** დედაქალაქ ქაიროში, კაფ-ის შტაბ-ბინაში გაიმართა სხდომა, სადაც ნიგერიისთვის ახალგაზრდათა მსოფლიო ჩემპიონატის ჩამორთმევაზე იმსჯელეს. აფრიკული კონფედერაციის დიდმოხელეთა აზრით, ფიფა შავ კონტინენტს ჩაგრავს, მაგრამ ამ დასკვნის გამო ყატარში გადატანილ პირველობას ბოიკოტს არ გამოუცხადებენ.

**საფრანგეთის** პირველობაზე „ნანტმა" სტუმრად 1:1 ითამაშა „ლანთან". თუმცა ლიდერს სამი კაცი გაუგდეს, „ნანტმა" უკვე 31 შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად და 10 ქულით „ლიონს" უსწრებს. ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: პსჟ — კანი 2:1, მონპელიე — კაენი 3:2, მარტიგი — ოსერი 2:1, სენტ-ეტიენი — მონაკო 1:0, რენი — ლიონი 1:1, ბორდო — ბასტია 1:0, ნიცა — ლილი 1:0, ლე ავრი — მეცი 0:3, სოშო — სტრასბური 0:1.

# ტოტოლოტო

### საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 10**
9 აპრილი

| | |
|---|---|
| 1 | ბარი — ფიორენტინა |
| 2 | ლაციო — რეჯანა |
| 3 | ბრეშია — პადოვა |
| 4 | იუვენტუსი — ტორინო |
| 5 | კალიარი — ფოჯა |
| 6 | ნაპოლი — რომა |
| 7 | პარმა — მილანი |
| 8 | სამპდორია — კრემონეზე |
| 9 | ინტერი — ჯენოა |
| 10 | ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი |
| 11 | ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი |

ჩაბარების ბოლო ვადა 7 აპრილი

# გამოვაღწევთ მძიმე ცაიტნოტიდან?

**საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატების ისტორიაში პირველადაა, რომ ლიდერი გუნდი ექვსეულებში თამაშს წაუგებლად იწყებს.**

**თამაზ ოქრუაშვილთან,**

**ლიდერის მთავარ მწვრთნელთან, კაქტუსის" თაობაზე გვსურდა საუბარი, თუმცალა ვერც საზოგადო საკითხებს ვერ ავუარეთ გვერდი.**



**— „ვითასთან" დამაჯერებლად ჩატარებულ შეხვედრას მოჰყვა უფერული, ერთქულიანი მოგება „დინამოსთან". რატომ გაგიჭირდათ?**

— „ვითასთან" მატჩის შემდეგ ვთხოვე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს, რომ „დინამოსთან" ერთხელ უკვე გადადებული მატჩი მოგვიანებით დაენიშნათ. მიზეზი ცხადია — ერთ მძიმე შეხვედრას მეორე მოსდევდა და თამაში იოლი არ იქნებოდა. სამწუხაროდ, ჩემპიონატის გრაფიკი მჭიდროა და გადადება არ მოხერხდა.

ჩვენ ორი წლის მანძილზე ისე ცუდ ფორმაში არ ვყოფილვართ, როგორც ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში. სამი მოთამაშე ნაკრებს ახლდა ისრაელში და გუნდთან ერთად თითქმის ვერ მოემზადნენ. ისრაელშივე დაშავდა ნაცვლიშვილი და ორი კვირა უქმად იყო, მხოლოდ ამ ტურის დაწყების წინა დღეს შეძლო ვარჯიშზე მოსვლა. ფეხის ტრავმები ჰქონდათ ხოშტარიას და მაჭარაძეს — მოსამზადებელ პერიოდში თითქმის არ ვარჯიშობდნენ. ხუთი კაცი რომ დაგაკლდება, ვარჯიშის ხარისხიც იკლებს. ამიტომ ვგრძნობდი, ცუდ ფორმაში რომ ვიყავით და ეს ტური როგორმე უნდა „გაგვეთრია". ასე თუ ისე, მოვახერხეთ.

„დინამოსთან" თავისუფლად შეგვეძლო წაგება. ცუდად ვითამაშეთ. ფატალურად არ გვიმართლებდა, სროლაც არავის წაუვიდა. ამას დაემატა წინა დღის ფეხბურთი, რომელიც გვიან ღამით დაიწყო. ბიჭებს ფეხბურთზე წასვლას ვერ ავუკრძალავდი, ამან კი რეჟიმი დაგვირღვია. არის კიდევ სხვა მიზეზებიც, გუნდის წევრებმა კარგად რომ იციან და რომელთა შესახებაც ახლა არაფერს ვიტყვი.

**— „ვითასთან" მატჩისას მსაჯობით უკმაყოფილო ჩანდით...**

— მსაჯობით უკმაყოფილო არ ვყოფილვარ და ამას ვერც ვერავინ დამწამებს. უკმაყოფილო ვიყავი ორგანიზაციული საკითხით. თუ გახსოვთ, ერთი საათით ადრე გამოვიცვალეთ და ამასობაში დენი გამოირთო. ბატონმა როლანდმა გვითხრა, უხერხული იქნება, არ ითამაშოთ ამდენი მაყურებლის თვალწინო. ჩვენ ამაზე დავთანხმდით. მე კი უნებურად პარალელი გავავლე შარშანდელ ნახევარფინალთან, როცა ჩვენსა და „თბილისის" მატჩზე არ იყო სინათლე, ამან კი ჩემს ბავშვებზე ძალზე ცუდად იმოქმედა. ახლაც, ცოტა არ იყოს, გავნერვიულდი და თამაშის დროსაც, ალბათ, ასე გამოვიყურებოდი. შეიძლება ჩემი აღელვების მიზეზი უმნიშვნელო დეტალი იყოს, მაგრამ იმისთანა დაძაბული მატჩის შედეგს, „კაქტუსი" — „ვითა" რომ იყო, ხშირად უფრო წვრილმანი დეტალებიც განაპირობებენ.

**— მსაჯობა ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა ჩვენს ჩემპიონატში, ფინალების მოახლოებასთან ერთად კი საქმე ალბათ უფრო რთულდება.**

— ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ის მსაჯები, რომლებსაც თავის დროზე საერთაშორისო ან საკავშირო კატეგორია ჰქონდათ — ხომერიკი, ავალიშვილი, ქურიძე და გელოვანი — მაღალი დონის არბიტრები არიან. სამწუხაროდ, ქურიძე და ავალიშვილი აღარ მსაჯობენ. ხომერიკის მსაჯობა კი კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული — 62 წლის კაცი ამას აღარ უნდა აკეთებდეს. თუმცალა, ბატონი როლანდის მოქმედება უდავოდ პატივსაცემია. მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ დაბალი კატეგორიის არბიტრის მსაჯობისას მოედანზე ცუდი შემთხვევები ხდება. რა ვქნათ, არა გვყავს მსაჯები, არავინ ფიქრობს მათ გაზრდაზე.

ფლეი-ოფის მოახლოებასთან ერთად მსაჯობის ფასიც გაიზრდება. ავალიშვილს და ქურიძეს ყველამ უნდა მივმართოთ თხოვნით, ფინალურ სტადიაზე მოვიდნენ, თორემ არაფერი გამოვა. წარმოუდგენელია ფლეი-ოფის მხოლოდ ორი მსაჯის ამარა დატოვება. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ ერთ-ერთი რომ ავად გახდეს, მერე სად მიდიხარ?

**— ეროვნული კალათბურთი ამ ჩემპიონატით არ მთავრდება, წინ კიდევ უამრავი საქმეა...**

— იცით, სულ ვცდილობ დავინახო ჩვენი კალათბურთის მომავალი, თუნდაც უახლოესი სეზონი, მაგრამ კარგს ვერაფერს ვლანდავ. შარშან მე იმ ხალხთან ერთად ვიყავი, ვინც ფიქრობდა, რომ ჩემპიონატს დიდი დღე არ ეწერა, თუკი არ შეიქმნებოდა პროფესიული ლიგა. სამწუხაროდ, ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელთან შედარებით აშკარად დევალვირებულია. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები ვართ, არავითარი კმაყოფილების გრძნობა არ მეუფლება. რითი უნდა იყო კმაყოფილი, როცა ჩემპიონატში, ფაქტიურად, სამი ნორმალური გუნდია და, ჩემი აზრით, ამ სამიდან ერთ საშუალო-ევროპული დონის გუნდსაც ვერ დააყენებ. შარშან თუნდაც დერიუგინის აქ ყოფნა ამაღლებდა ჩემპიონატის დონეს. ახლა როგორღაა საქმე: მაგალითად, ჩვენი ლიდერი ნაცვლიშვილი მომავალ სეზონში ალბათ აუცილებლად წავა ამერიკაში. უკვე მელოდება ჩხეიძე — თუ სადმე არ წავიდა და ნორმალურ ჩემპიონატში არ ითამაშა, მისი დონე ნელ-ნელა დაქვეითდება. ამგვარი მოთამაშეები მრავლად არიან „ვითასა" და „დინამოში". ვისაც კი მიიწვევენ, ალბათ ყველა წავა უცხოეთში. ჩვენ ხომ არა გვაქვს არც საშუალება და არც მორალური უფლება ისინი დავაკავოთ. რაზეა ლაპარაკი, როცა მთელი ზამთარი ბიჭებს ცხელი წყლით ტანი ვერ დავაბანინეთ?! მაშინ ან ჩვენი ლეგიონერები უნდა დაბრუნდნენ, რაც გამორიცხულად მიმაჩნია, ან სხვაგვარი საკალათბურთო აზროვნება უნდა შევიმუშავოთ.

**— ნუთუ მცირედ პერსპექტივასაც ვერსად ხედავთ?**

— დიდ პერსპექტივას ვხედავ ახალშექმნილ ბავშვთა ლიგაში. პირადად მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ბავშვთა კალათბურთი ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებდა. წლების განმავლობაში ამ საკითხის გადაწყვეტა არ ხერხდებოდა. ახლა კი ბავშვთა გუნდების მწვრთნელებმა, შესანიშნავმა ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს ეს ლიგა. ამ შეჯიბრებას გაფრთხილება უნდა. ბევრი რამ იქაც დასახვეწია: ამ თამაშებზე როცა მივდივარ და კოსტიუმებში გამოწყობილ მსაჯებს ვუყურებ, ყველაფრის ხალისი მეკარგება. იქნებ თხოვოს ვინმემ ამ ლიგის სპონსორს „კოკა-კოლას", იმ 5-6 მსაჯს ნორმალური ფორმა შეუძინოს, რათა მოთამაშეს მათი პატივისცემა ბავშვობიდანვე ჩაენერგოს.

**— სანამ ის ბავშვები გაიზრდებიან, ეროვნულ ჩემპიონატს ხომ ვერ გავაჩერებთ?**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონატის და ბავშვთა ლიგის განვითარება პარალელურად უნდა ხდებოდეს. ჩემი ნება რომ იყოს, პროფესიული ლიგის იდეას მივუბრუნდებოდი, ოღონდ მცირედ შესწორებებს შევიტანდი წესდებაში. აუცილებლად უნდა დაისვას კალათბურთის საკითხი სამთავრობო დონეზე. იქიდან დახმარება ძალზე საჭიროა. ხომ ხედავთ, როგორც არ უნდა გაუარესდეს სიტუაცია, კალათბურთი მაინც პოპულარულია. 4-5 ათასი კაცი ჩვენსა და „ვითას" მატჩზე მაინც მოვიდა. ჰოდა, იმ ხალხს საპასუხოდ რაღაც ხომ უნდა დავუბრუნოთ? ჯერჯერობით ჩვენს ჩემპიონატში არის მხოლოდ დაძაბულობა, სათამაშო კლასი კი არც ისე მაღალია.

ლიგის თემას რომ დავუბრუნდეთ, საქმეს ეგებ ეშველოს. თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ მოსაზრებებში აბსოლუტურად ვეთანხმები „ვითას" პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს, მხოლოდ ერთს დავამატებ: უკვე ძალიან მალე შეიძლება გვიანიც იყოს. ჩვენ ვართ სრულ და გაურკვეველ ცაიტნოტში, რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

მერაბ რატიშვილი

გია ახალაძის ფოტო

# ხომერიკი მსაჯობაზე უარს ამბობს

მურმან ქურიძის და გიორგი ავალიშვილის შემდეგ როლანდ ხომერიკი მესამე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია, ვინც იუარა საქართველოს ჩემპიონატის მატჩების მსაჯობა.

ხომერიკმა ამ გადაწყვეტილების შესახებ „სარბიელის" კორესპონდენტს „კაქტუსი" — „ვითას" 27 მარტის შეხვედრის შემდეგ აცნობა. მისი თქმით, მატჩის მსვლელობისას იყო ორმხრივი პრეტენზიები, განსაკუთრებით „კაქტუსის" მხრიდან: „40 წელიწადია მოედანზე ვარ და ჩემთვის საყვედური არავის უთქვამს. არ მსურს, კალათბურთიდან გალანძღული წავიდე, ამიტომ სანამ დროა, შევეშვები მსაჯობას და იმ საქმეს მივხედავ, რომელიც უშუალოდ მევალება. ისე, რომ იცოდეთ, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რომელი გუნდი მოიგებს. მე არავის ვემხრობი, ხოლო ამის გაკეთება რომ მომენდომებინა, ისე მოვახერხებდი, ვერავინ შეამჩნევდა".

ხომერიკს, უკვე როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, აეჭვებს, რომ ჩემპიონატი ბოლომდე ჩათავდება. არცერთ მსაჯს არ სურს პრინციპული მატჩების (ისეთების, როგორიცაა „კაქტუსი" — „ვითა") მსაჯობა: „ამ გუნდების შეხვედრაზე ფედერაცია დანიშნავს არბიტრებს, ხოლო იმსაჯებენ თუ არა ისინი, უკვე მათი პირადი საქმეა. არსებობს ერთი გამოსავალიც — აიღონ ამ გუნდებმა, დადონ ფული და ფედერაცია ნებისმიერი ქვეყნიდან ჩამოიყვანს კვალიფიციურ მსაჯებს. იქნებ ჩამოსულებმა მაინც უშველონ საქმეს".



გამოვიდა მერაბ რატიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ამერიკული კალათბურთი 1994", რომელშიც უფრო ახლოს გაეცნობით ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. წიგნის ყიდვა შეგიძლიათ სპორტის სასახლეში, ვერის ბაღში, საგაზეთო ჯიხურებსა და „სარბიელის" რედაქციაში.

## საქართველოს ჩემპიონატი

### ექვსეული

სპორტის სასახლე, კვირა, 2 აპრილი

ვითა — მერანი 97:48

ვითა: ვაშაკიძე (11), ბაქრაძე (5), კობეშავიძე (13), სანაძე (2), ჩერქეზიშვილი (3), გურასპაული (2), ბეჟანიშვილი (8), დადიანი (20), კოკოლიშვილი (5), ჩუბინიძე (14), ორმოცაძე (12), ტურაშვილი (2)

მერანი: უძილაური (6), მაჩალაძე (3), გიგაური (13), ნაცვლიშვილი (8), ბარბაქაძე, ი. ბერიშვილი, პეტრიაშვილი (4), ტალაბაძე (8), დ. ბერიშვილი (2), შველიძე (4)

კაქტუსი — აზოტი 88:65

კაქტუსი: თორთლაძე (9), აბულაძე (9), ულენტი (13), ხოშტარია (7), მაჭარაძე, გ. ნაცვლიშვილი, ოთიურიძე (20), აბრამიძე (5), ვ. ნაცვლიშვილი (14), ბერძენიშვილი (11), ახალკაცი

აზოტი: გ. ბერუაშვილი, მიროტაძე, კიკვიძე (11), გოგოლაძე (7), მჭედლიძე, ხაიაური (14), გონაშვილი (1), ქობულაძე (20), კეჭაყმაძე (9), წიკლაური (3), ბარამიძე

დინამო — თორსი 100:61

დინამო: ქარაბაკი (30), ზ. ცაგარეიშვილი (13), ვაშაკიძე (17), სხიერელი (8), რატიანი (2), მაისურაძე (12), კილაძე (13), ცხვედიანი (5)

თორსი: თ. ცაგარეიშვილი (6), ქევხიშვილი (4), ლომიძე (2), სპარსიაშვილი (17), ორჯონიკიძე (2), ჩხეიძე (24), მიქაძე (4), ხარაძე (2)

მდგომარეობა 3 აპრილისთვის

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 19 | 19 | 0 | 1876-1191 | 38 |
| ვითა | 19 | 17 | 2 | 1950-1225 | 36 |
| დინამო | 19 | 15 | 4 | 1775-1342 | 34 |
| თორსი | 19 | 11 | 8 | 1239-1452 | 30 |
| მერანი | 19 | 10 | 9 | 1402-1427 | 29 |
| აზოტი | 19 | 8 | 11 | 1325-1490 | 26 |

აზოტს დაკლებული აქვს 1 ქულა.

ცხრილში შეტანილი არ არის გუშინდელი მატჩების შედეგები: კაქტუსი — თორსი, ვითა — აზოტი, დინამო — მერანი

ექვსეულის I წრის დარჩენილ მატჩთა განრიგი (სპორტის სასახლე)

**სამშაბათი, 4 აპრილი**

დინამო — აზოტი 12.00
მერანი — თორსი 13.30
კაქტუსი — ვითა 15.00

**ოთხშაბათი, 5 აპრილი**

აზოტი — თორსი 12.00
კაქტუსი — მერანი 13.30
დინამო — ვითა 15.00

**ხუთშაბათი, 6 აპრილი**

მერანი — აზოტი 12.00
ვითა — თორსი 13.30
კაქტუსი — დინამო 15.00

მეორე წრე 12-16 აპრილს იქვე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველო თანამედროვე რაგბს თამაშობსო

ბიბლიოთეკა

**ფირა-ს ანუ სამოყვარულო რაგბის „საერთაშორისო" ფედერაციის კაცთა პირველობის „ბ2" ჯგუფი (სოფია)**

ნახევარფინალი. 23 მარტი

მოლდოვა — უნგრეთი 17:14

საქართველო — ბულგარეთი 70 (34) (13ლ, გ, ს) : 8 (3) (ლ, ს)

საქართველო: ე. ძაგნიძე (ი. ლეჟავა); ქავთარაშვილი - 3ლ, ჩიქვინიძე (ტყაბლაძე), მგელაძე, ჯიმშელაძე - 3ლ; მაჩიტიძე, იოვაძე; ჩიქავა (მაჭუტაძე), ცაბაძე (ხუციშვილი), ცქიტიშვილი; კახიანი, ლიბრაძე; ობოლაძე, ზვ. ლიპარტელიანი - 2ლ, დიდებულიძე

მსაჯი მიშო (საფრანგეთი)

ფინალი. 25 მარტი

III ადგილისთვის: უნგრეთი — ბულგარეთი 21:5

I ადგილისთვის: საქართველო — მოლდოვა 47 (23) (7ლ, 3გ, ს, ა) : 5 (0) (ლ)

საქართველო: ე. ძაგნიძე; ქავთარაშვილი - ლ, ჩიქვინიძე - ბ, მგელაძე, ჯიმშელაძე - ლ; მაჩიტიძე - ლ, 2ბ, ს, ა, იოვაძე - 2ლ (მოდებაძე); მაჭუტაძე - ლ, ჩიქავა, ცქიტიშვილი; კახიანი, ლიბრაძე; ობოლაძე, ზვ. ლიპარტელიანი (მჭედლიშვილი), დიდებულიძე - ლ

მსაჯი ფაჩოლი (იტალია)

ცნობილ ქართველ სპორტსმენთა ბოლოდროინდელი კატასტროფული მარცხების ფონზე საქართველოს კაც მორაგბეთა ნაკრების წარმატება კაცს უნებურად აფიქრებინებს, ჩვენს გაუდაბნოებულ სპორტში რაგბი ერთგვარი ოაზისი ხომ არ არისო.

არც მთლად უამისობაა. რამდენი სახეობა ვიცით, ამ ხუთი წლის წინ ოდენ დირექტიული ორგანოების მხრივ შეფუცხუნების [illegible]ყალობით რომ არსებობდა ჩვენში, [illegible] ვინაიდან ამ სამსახურებს დატუ-[illegible]ვისათვის მოსაყოლეებელი სახსრები არ[illegible] მოეძებნებათ, ეს სახეობები სულ მთ[illegible]ად [illegible]კვდარან.

რაგბი საქართველოში სახელმწიფო საქმე არც არასდროს ყოფილა და ალბათ არც ოდესმე იქნება. დროებამ მორაგბეებსაც გაუძნელა მოღვაწეობა: გასაქანი ყოველმხრივ შეუზღუდა და რიგებიც შეუთხელა. მიუხედავად ამისა, დღეს რაგბი იმ იშვიათ სპორტთაგანია, კაცთა და ბავშვთა შეჯიბრებების რეგულარულად გამართვას და ნაკრებთა ყოლას რომ ცდილობს.

ამა წლის იანვარში ქართულ რაგბში უსისხლო გადატრიალება მოხდა: რაგბის კავშირის ორ საპასუხისგებო თანამდებობაზე დაინიშნენ ისინი, ვისაც ჯერ 35 წელი არ შესრულებია. ეს პროცესი შეუქცევადია და ალბათ წელსვე ახალი თაობის სრული გაბატონებით დასრულდება. აი, მანამდე კი ნაკრებმა, ვისაც ძველებურადვე ბებრები წვრთნიდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ადმინისტრატორები თავკაცობდნენ, წარმატებით მოვლო ბულგარეთი.

ჩაშლის პირას მისული ფირა-ს პირველობის „ბ2" ჯგუფის შეჯიბრება ამ საერთაშორისო სარაგბო გაერთიანებას ერთ ქვეყანაში, და ისიც ბულგარეთში, რაგბის ჩვენზე მეტი ტრადიცია რომ აქვს, მაგრამ სარაგბო კულტურით ბარემ ათჯერ რომ ჩამოგვივარდება, ასევე ახალი ტალღის ადმინისტრატორმა, საფრანგეთში მოღვაწე თბილისელმა ბიზნესმენმა ზაზა ქასაშვილმა დაანიშნინა. ბულგარელ მორაგბეთა თავკაც გიორგი მარინკინს მერე და მერე მწარედ უნანია, მაგ თქვენმა ბიჭმა როგორ გამაბრიყვა: ფინანსურადაც მაზარალა და მორალურადაც — თქვენთან „ასტრონომიული" ანგარიშით წაგება მავანთ შეიძლება ძვირად დაგვისვანო.

ბულგარელებს ამ მხრივ მწარე გამოცდილება ჰქონიათ. როგორც თავადვე ალუნიშნავთ შეჯიბრისათვის მიძღვნილ პროგრამაში, მათს ნაკრებს 1969 წლის 2 მარტს შინ 0:17 წაუგია იტალიასთან, რომელიც არც მაშინ ყოფილა ხელწამოსაკრავი, დღესდღეობით კი კონტინენტურ ევროპაში სიძლიერით მეორე გუნდია. ბულგარული სპორტის მაშინდელ მამებს ფეხბურთის საწყაოთი შეუფასებიათ მორაგბეთა მარცხი, კატაკლიზმად მიუჩნევიათ და ნაკრებისთვის საერთაშორისო სარბიელის ჭიშკარი 16 წლით დაუხშვიათ.

სოფიას მიმავალ ჩვენებს ამგვარი არაფერი ემუქრებოდათ. სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს გუნდისთვის შეუთვლიათ, მოგებას არა გთხოვთ; მთავარია, კარგად მოიქცეთ; ემანდ ისედაც შერცხვენილ ქვეყანას მეტად არ გაუტეხოთ სახელიო, რაზეც ნაკრების უფროს მწვრთნელს, ქუთაისელ დუგლას კავთელაშვილს ენამოსწრებულად, ოლონდაც მაგარ-მაგარი სიტყვებით უპასუხია, რაც დაახლოებით ასე ითარგმნება: „ყველა დამნაშავეს ადგილზევე გავუსწორდებითო".

ქართველთა დელეგაცია გაუთვალისწინებია ახალი დროის სოვდაგართა გამოცდილება და „მერსედესის" ავტობუსით თურქეთის გავლით ჩასულა ბულგარეთს, სადაც ყურადღებიან მასპინძლებს სოფიიდან ათიოდე კილომეტრის მოშორებით, პანსიონატში დაუსახლებიათ ჩვენი მორაგბეები. იქ წყალი თურმე დღეგამოშვებით მოდიოდა, საჭმელი კი ძლივს ჰყოფნიდათ, მაგრამ საქართველოს ნაკრებს მაინც ნაყოფიერად უვარჯიშია.

ჩვენები ფირა-ს ტურნირამდე ათი დღით ადრე შეჯიბრების ადგილზე პირველი „სოფიის შვიდკაცას" ხათრით ჩავიდნენ. საქმე საქმეზე რომ მიმდგარა, გუნდის მწვრთნელებს აღარ გაურისკავთ და მთავარი შეჯიბრების კვირაძალს შვიდკაცას თამაში უუარიათ. ამას ორგანიზატორებისთვის გეგმები აურევია. შეჯიბრების წინადღით ქართველებს რამდენჯერმე დაუპირებიათ, მერე კი ისევ გადაუფიქრიათ შვიდკაცობა, ფრთის მორკინალი და შვიდკაცას ცნობილი ტრფიალი „დიმა" ობოლაძე კი თურმე მონაწილეობის შესატანის — ასი დოლარის დადებას თავისი ჯიბიდან აპირებდა.

საბოლოოდ რეალიზმს გაუმარჯვნია და ჩვენებიც ზედმეტი ტრავმების წყაროს გარიდებიან. შეჯიბრება მოუგია აშშ-ის „ატლანტისს", რომელსაც უჯობნია რუმინელი, ყველა ჯურის ექს-იუგოსლაველი, მოლდაველი, უკრაინელი და ბულგარელი მორაგბეებისათვის. ტურნირის ცქერით ჩვენები მიმხვდარან, რომ თუმც შვიდკაცას შინ 1988 წლიდან ყოველწლიურად თამაშობენ, ოღონდაც — წელიწადში ათითოჯერ, ამ სრულიად განსხვავებული თამაშისა თურმე მაინც არა გაეგებათ რა. ამგვარი აღიარება ორმაგად საგულისხმოა, რაკილა წელსვე თუ არა, გაისად მაინც საქართველოს შვიდკაცას მეორე მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა მოუწევს.

ბულგარელები პანსიონატში ჩვენების მეზობლად ცხოვრებულან, ერთი-ორჯერ ვარჯიშზეც გაჰყოლიან და წესითა და რიგით უნდა სცოდნოდათ, თუ რა დონის მეტოქესთან ექნებოდათ საქმე ნახევარფინალში. სამაგიეროდ, ჩვენები ბულგარელებზე უთუოდ 1970-იანი წლების მოგონებებით მსჯელობდნენ. იმ ხანაში თბილისის „ლოკომოტივი" ოთხი წლის მანძილზე ექვსჯერ ეთამაშა სოფიისას და ხუთჯერ მოუგო, ერთხელ კი — წააგო.

ნახევარფინალები თოვლში, დათოვლილ მოედანზე გაიმართა. ჩვენებს თავიდან ერთი-ორი საჯარიმო კი გაუცუდდათ, მაგრამ მერე ქართველთა უპირატესმა კლასმა (ბულგარელებთან და მათთანებთან შედარებით) მალე იჩინა თავი. ჩვენები 1980-იანი წლების მეორე ნახევრისეულ უმარილო რაგბს აღარ თამაშობდნენ; თურმე აღარც აბრაგანები გახსენებიათ; შერკინება რამდენჯერმე რომ შეუტევდა, მერე დროულად უკანა ხაზს მისცემდა ბურთს, ეს კი ხელით ბურთაობდა. ასე თამაშ-თამაშ ჩვენმა იმდღევანდელმა ნაკრებმა ეროვნულ რეკორდს გამოჰკრა ხელი.

დაძაბული გამომდგარა მეორე ნახევარფინალი. მოლდოვაში რაგბს 1969 წლიდან თამაშობენ, უნგრეთში — 1988 წლიდან. მოლდოვამ 1990-იან წლებში ერთობ იზარალა, რადგანაც ტირასპოლის სლავური გუნდი თითქმის მთლიანად ლიგის რაგბში გადავიდა, მაგრამ ბოლო ხანებში სეპარატისტი დნესტრისპირეთის ნაცვლად მოლდოვას სახელით ასპარეზობს და ლიგის წლევანდელ საიუბილეო მსოფლიო თასზე ახალბედათა შეჯიბრებაშიც იმონაწილევებს. რაც შეეხება ბულგარეთში ჩაყვანილ გუნდს, იგი მოლდოვას რომანული ნაწილის გუნდებისა და ტირასპოლის გუნდის ნარჩენის გაერთიანება ყოფილა. უთუოდ ამის გამო მოთამაშეები ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ. ისე კი, საგულისხმოა, რომ ქართული და ლიტვური გუნდების გარდა ყოფილ საბჭოეთში ყველა გუნდში რუსულად მეტყველებდნენ.

უნგრელებს უკრაინელი მწვრთნელი და რამდენიმე ინგლისურად მეტყველი მოთამაშე ჰყოლიათ. ჯანითაც არა უშავდათ. მოლდოვასთან ცოტათი წაგების შემდეგ მესამე ადგილისათვის შეჯიბრში ბულგარეთისთვის უჯობნიათ. რაც შეეხება საქართველო — მოლდოვას ფინალს, თითქმის ორი დღის წინანდელი ამბავი გამეორებულა. განსხვავება მხოლოდ ისა ყოფილა, რომ ქარს მოედანი გაუშრია და თამაშის დროსაც გვარიანად უქროლია, რის გამოც ჩვენებს, ცოტა არ იყოს, ნერვიულად დაუწყიათ თამაში.

ტურნირის დასასრულ ბანკეტი გამართულა, რომელსაც ჩვენების მტკიცებით შემოსწრებია ბულგარეთის ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელი პენევი. მას მორაგბეებისათვის მთელი ერთი საათით წაუგვრია მოკლეკაბიანი მომღერალი გოგონა, ესტრადიდან რომ აქცევდა მოქეიფეებს. შეჯიბრების დღეებში გამართულა პრესკონფერენციებიც, თამაშების ძირითადი მომენტები კი ბულგარეთის ტელევიზიის სპორტულ მიმოხილვებშიც ჩაურთავთ. პარალელურად ფირა-ს მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარიც გამართულა, რომლის დროსაც სხვათა შორის შეუნიშნავთ, საქართველოს ნაკრები თანამედროვე რაგბსა თამაშობსო.

ჩვენები ვერცხლისფერი ლითონის თასით დაუჯილდოებიათ. ეს ნაკეთობა ქართველებს მარჯვედ გამოუყენებიათ თურქეთის გამოვლისას — საგზაო პოლიციას მალი-მალ დაანახებდნენ და პაროლად ქცეულ სიტყვებსაც — „ფუთბოლ, აჩი, შოთა" ხშირად მოიშველიებდნენ. ამგვარად ჩვენების „მერსედესი" სარეკორდოდ მცირე დროში სამშვიდობოს გამოსულა.

შარშან შემოდგომით ფირა ირბ-მა ჩაყლაპა. ფირა-ს პირველობის მომავალს სექტემბერში გავარკვევთო, უთქვამს ფირა-ს იტალიელ დელეგატს ლორეტო კუკიარელის. თუ ამ შეჯიბრების გამართვა კვლავაც გაგრძელდა, იმედია, ახლა კი უკეთეს ჯგუფში გაგვამწესებენ.

ზაზა ფხაქაძე

БЪЛГАРСКА ФЕДЕРАЦИЯ ПО РЪГБИ

Първенство на ФИРА
група Б 2

РЪГБИ

Международна
федерация
по ръгби за аматьори

ФИРА

## 6 + 8

საქართველოს პირველობის დაწყებამდე სამი კვირა რომ დარჩა, ბოლოსდაბოლოს გაირკვა ჯგუფების რიცხოვანება და მონაწილეთა ვინაობა. ამ მხრივ რაგბმა ბევრით აჯობა კალათბურთს, რომლის ქართველმა მამ[illegible]ბმაც ზედ ჩემპიონატის სტარტზე შეაკოწიწეს ქვეჯგუფები.

უფროს, პირველ ჯგუფში თამაშის უფლება რვა გუნდს ჰქონდა, მაგრამ „ქორებს" გუნდი დაეშალათ, „ლელომ", რომელიც „გუმარს" შეუამხანაგდა, უმცროს, მეორე ჯგუფში ასპარეზობა ირჩია, ქუთაისის „გელათმა" კი უთამაშებლად დაუთმო უფროსი ჯგუფის საცილო ადგილი იმავე „გუმარს", რომლის 11 მოთამაშეც ნაკრების შემადგენლობაში ბულგარეთს იყო. სენაკის „ჯიხამ" მეორე ჯგუფშიც იუარა თამაში.

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე (აპრილ — ივლისში) ორივე ჯგუფში ორწრიანი შეჯიბრება გაიმართება. მერე მოხდება გადაჯგუფება და შეიქმნება დიდი ოთხეული, შუა ექვსეული და ბოლო ოთხეული. დიდი ოთხეული მეორე ეტაპზე (სექტემბერ — დეკემბერში) ოთხ წრედ იასპარეზებს, დანარჩენები — ორ წრედ. 1996 წელს უფროს ჯგუფში ისევ რვა გუნდის ყოლა ივარაუდება.

ჩემპიონატის პარალელურად ამერის გუნდებისათვის გათამაშდება „სარბიელის სინი", რომელიც გარდამავალი ჯილდოა და მფლობელმა ყოველ თამაშში უნდა დაიცვას. სინზე უკვე მუშაობს ვეტერანი მორაგბე და ცნობილი მოქანდაკე გია ჯაფარიძე. სინის პირველი გათამაშება 21 აპრილისთვის, თბილისში, ვაკის სტადიონზე, „თბილისი" — „გუმარის" არასაჩემპიონატო, საჩვენებელ მატჩშია დაგეგმილი.

| I ჯგუფი | II ჯგუფი |
|---|---|
| თბილისი | ლელო |
| აზოტი (რუსთავი) | უნივერსიტეტი |
| აია (ქუთაისი) | დინამო |
| ყოჩები | დელფინები (ბათუმი) |
| აიეტი (ქუთაისი) | რაში |
| გუმარი | აკადემია |
| | გელათი (ქუთაისი) |
| | ყოჩები-II |

## მსოფლიო თასის კრიალოსანი

მხარეები მორიგებულან, რომ როცა 1998 წელს ავსტრალია ინგლისს სატურნეოდ ეწვევა, პირველად ინგლისური რაგბის ისტორიაში, ერთბაშად ორი ტესტი გამართონ: ერთი — ტრადიციულად, თვიქნემში, მეორე კი ქვეყნის ჩრდილოეთში, რომელიმე ცნობილ საფეხბურთო სტადიონზე — ლიდსის „ელანდ როუდზე", მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" ანაც ლივერპულის „ანფილდზე".

ჩრდილოეთი ტრანსვაალის რაგბის კავშირის პრეტორიის ოფისში მისაყურადებელი მოწყობილობა აღმოუჩენიათ. როგორც ვარაუდობენ, იგი კომერციულ საიდუმლოებათა შეტყობის მსურველ კონკურენტებს დაუმონტაჟებიათ. იმავდროულად ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოეთ ტრანსვაალის ყოფილი, აწ კი ტრანსვაალის სახელით მოთამაშე ექიმი, ვეტერანი კვაჭი ული შმიდტი ისე დაშავებულა, რომ მსოფლიო თასს უეჭველად გამოაკლდება, რაც ერთობ სამწუხაროა რაგბის მცოდნე ქომაგებისათვის.

ფრანგებმა გამოაქვეყნეს მსოფლიო თასის 26 მონაწილის ნუსხა. მასში 1987 წლისეული ზელანდიურ-ავსტრალიური კამპანიის ანუ პირველი მსოფლიო თასის სამი ვეტერანია: შუამარბები ფილიპ სელა და ფრანკ მენელი, აგრეთვე ბურჯი ლუი არმარი.

**ჩოგბურთი**

# სამპრასს კინაღამ ევკალიპტი დაეცა

DAVIS CUP

დევისის თასის მეოთხედფინალი. 31 მარტი - 2 აპრილი

მეორე წელია, დევისის თასის ნახევარფინალში ერთი და იგივე ოთხეული გადის. სატურნირო ბადეც იმგვარადაა შედგენილი, რომ ნახევარფინალში გუნდები შარშანდელივით დაწყვილდნენ: ამერიკელები ლას-ვეგასის „სიზორზ პელისში" შარშანდელ ჩემპიონებს — შვედებს უმასპინძლებენ, ფინალისტი რუსები კი — მოსკოვის ოლიმპიურ კომპლექსში, გერმანელებს. მიუხედავად ამისა, ჩლავებს ამ მატჩის მოგების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციამ მოარიგა ბეკერი და შტიხი, ეს ორი გრანდი კი ერთად ერთობ დიდი ძალა რომაა, თავის თავზე გამოსცადეს ჰოლანდიელებმა.

**ჰოლანდია 1-4 გერმანია**

მსოფლიო ჯგუფის მეოთხედფინალების ვიქენდზე (31 მარტი — 2 აპრილი) ჰოლანდიელთა ოთხეული: კრაიჩეკი, ჰაარჰიუსი, ელტინგი და სიმერინკი გერმანელთა დუეტს უტრეხტში დაუხვდა. ხალხი მექსიკური ტალღებითაც კი ამხნევებდა თავისიანებს. პირველსავე რაბერში (თამაშში) პაულ ჰაარჰიუსმა სამ საათში 4:6,6:2,6:4,7:6 დაამარცხა მსოფლიოს მესამე ჩოგანი ბეკერი, ვისაც თურმე მხარი და ტერფი სტკიოდა. ეს „ბუმ-ბუმ ბორისისათვის" დევისის თასზე ათი წლის განმავლობაში 39-ე თამაში და მხოლოდ მეორე (!) წაგება იყო.

მეგობრის დაუგეგმავი მარცხი გამოასწორა მიხაელ შტიხმა. პირველი ხელი მანაც წააგო ათლეტ რიხარდ კრაიჩეკთან, მაგრამ მერე ზედიზედ სამი მოიგო და ანგარიში გაათანაბრა 1-1.

შაბათს ბეკერი და შტიხი შეწყვილდნენ, რაც ერთობ იშვიათი მოვლენაა თანამედროვე ჩოგბურთში, რაკიღა ჰონორარებისა და კომპიუტერული კლასიფიკაციის ქულების მდევარი ვარსკვლავები წყვილთა თამაშს აღარც კადრულობენ, რის გამოც წყვილთა ასპარეზი ერთიანად ჩოგბურთის ამ ნაირსახეობის სპეციალისტებსა რჩებათ. გერმანელებმა მაგრად იბრძოლეს და სამ საათსა და 37 წუთში ელტინგ — ჰაარჰიუსის წყვილს ხუთ ხელში მოერივნენ 6:7, 4:6, 6:4, 6:4, 6:3. პირველი ხელი 56 წუთსაც კი გაგრძელდა და თაი-ბრეიქში 7:1 დასრულდა, გერმანელთა მიერ მოგებულ სეთებში კი ბორისმა ისახელა თავი — ელტინგის მოწოდებები მოიგო.

კვირასაც ბეკერმა იძალა — მასპინძელთა ლიდერი კრაიჩეკი ისე დათრგუნა, რომ ამას 13 ორმაგი შეცდომაც კი მოუვიდა. გერმანელმა 6:3, 6:4, 3:6, 6:1 გაიმარჯვა და თავისიანებს მოგება დაუბევა. ბოლოს შტიხმა ჰაარჰიუსი დაამარცხა. გერმანელებმა ჯამში 4:1 გაიმარჯვეს.

**რუსეთი 4-1 სამხრ. აფრიკა**

მოსკოვში, რუსეთ — სამხრეთი აფრიკის მატჩში თითქმის იგივე რამ მოხდა. მსოლიოს მეექვსე ჩოგანმა, სოჭელმა ევგენი კაფელნიკოვმა სამ ხელში დაამარცხა მარკუს ონდრუშკა. მერე საქმეში ვეინ ფერერა ჩაერთო, ვისაც მანამდე სამხრეთაფრიკელთა დევისის თასზე დაბრუნების შემდეგ გამართული 17 თამაშიდან 16 მოეგო და გუნდი მსოფლიო ჯგუფამდე ალეზევებინა. ფერერა 1-2 აგებდა კალინინგრადელ ალექსანდრ ვოლკოვთან, მაგრამ ბოლო ორი ხელის მოგებით (6:2, 6:4) გუნდური ანგარიში გააყაიმა.

შაბათს წყვილთა თამაში ამ მატჩშიც ხუთ ხელამდე გაიჭიმა. სტუმრებმა — ფერერამა და გარი მულერმა პირველი და მეორე ხელი ერთნაირი ანგარიშით (6:4) მოიგეს, მესამე და მეოთხე ხელში კი მატჩის მოსაგებად თითო ბურთის ჩაგდება სჭირდებოდათ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. ვეტერანმა ოლხოვსკიმა და კაფელნიკოვმა ბოლო სამი ხელი 7:6, 7:6, 6:3 მოიგეს და რუსეთი დააწინაურეს.

კვირას აქაც ლიდერებმა პირველებმა ითამაშეს. კაფელნიკოვმა ფერერა 6:4, 7:5, 6:1 დაამარცხა და ანგარიში 3-1 გახადა. მერე ვოლკოვმა ონდრუშკას 6:1,6:1 მოუგო სახალისო თამაში. აქაც 4-1, ოღონდაც მასპინძელთა სასარგებლოდ.

**იტალია 0-5 აშშ**

ამერიკელებმა ერთობ გაილაღეს პალერმოში იმისდა მიუხედავად, რომ სიცილიაზე ძლიერი ქარი ქროდა. სამპრასი კინაღამ ტრაგიკულად დაიღუპა: ათმეტრიანი ევკალიპტი წაიქცა და დაენარცხა კორტს, რომელზედაც პიტს სულ ცოტა ხნის წინ ვარჯიში დაემთავრებინა.



ბორის ბეკერი და მიხაელ შტიხი ვარსკვლავთაგან იშვიათი გამონაკლისები არიან, წყვილში ერთად თამაშს რომ არ უკადრისობენ

პარასკევს ციოდა და ცრიდა. აგასიმ 6:4,6:4,6:1 დაამარცხა იტალიელთა კაპიტნის, დევისის თასის ძველი გამარჯვებულის ადრიანო პანატას უმთავრესი იმედი, მსოლიოს მე-19 ჩოგანი ანდრეა გაუდენცი, სამპრასს კი რენცო ფორლანთან თამაში არ დასცალდა, ვინაიდან მაგრად გაწვიმდა. ამერიკელთა კაპიტან თომ გალიქსონს მატჩის გადადება გაეხარდა, ემანდ პიტი არ დამიშავდესო. შაბათი ამ თამაშით დაიწყო და სამპრასმაც სამ ხელში გაიმარჯვა, მერე კი წყვილთა თამაშის სპეციალისტების, ავსტრალიის ამჟამინდელი ჩემპიონების რიჩი რენებერგისა და იარიდ პამერის ჯერიც დადგა. მათ 6:1, 6:7 (2:7), 6:4, 6:2 დაამარცხეს სტეფანო პესკოსოლიდო — კრისტიან ბრანდის წყვილი. ეს ბრანდი სულ მთლად უცნობი ყოფილა, ვინაიდან ერთეულებში პროფესიონალთა ტურში თურმე არც მონაწილეობს.

კვირას ამერიკელებმა მეტოქის განადგურება დაასრულეს 5-0. გალიქსონმა აგასი დაასვენა და პამერს სინგლიც ათამაშა.

**შვედეთი 5-0 ავსტრია**

ქალაქ ვეკშეში პირველად მოხდა, რომ ჯეელი მაგნუს ლარსონი ვეტერან სტეფან ედბერგზე წინ დაეყენებინათ. პარასკევს ლარსონმა სამ ხელში დაამარცხა თომას მუსტერი, ედბერგმა ოთხ ხელში — ალექს ანტონიჩი. შაბათს ავსტრია საბოლოოდ დამარცხდა: მუსტერმა და ანტონიჩმა აპელთან და ბიორკმანთან 5:7,3:6,3:6 წააგეს.

ქალები წინა კვირაში სამხრეთი კაროლინის ქალაქ ჰილტონ-ჰედ-აილენდში, ე.წ. საოჯახო თასის შეჯიბრში ასპარეზობდნენ. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა არანტა სანჩეს-ვიკარიომ პროგრამა-მინიმუმი, ანუ კლასიფიკაციის სათავეში დარჩენა ძლივსძლივობით შეძლო: თავიდან სამ-სამი ხელი მოანდომა რუმინელი რუქსანდრა დრაგომირისა და სამხრეთაფრიკელი ამანდა კეტცერის ძლევას, რაკიღა გრიპი სჭირდა. კეტცერთან თამაშის მეორე სეთში არანტას კოჭი ელრძო და რამდენიმე წუთი გაუნძრევლადაც კი იწვა კორტზე. ეს თამაში სამ საათს გაგრძელდა და 7:6,3:6,6:3 დასრულდა.

სანჩეს-ვიკარიო მეოთხედფინალში ბულგარელ მაგდალენა მალეევას უნდა შეხვედროდა, მაგრამ უთამაშებლად დანებდა. მაშინ კი გაიპარპაშა მეორე ესპანელმა, უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა კონჩიტა მარტინესმა: მეოთხედფინალში 2-1 მოუგო ნორჩ ივა მაიოლის (ხორვატია), ნახევარფინალში 2-0 ნატალია ზვერევას (ბელარუსი), ფინალში კი — ასევე 2-0, ოღონდაც მალეევას. ამით მარტინესმა, ვისაც შარშანაც გაუმარჯვნია ამ ტურნირში, წელს პირველად მოიგო შეჯიბრება და ჯილდოდ 150 ათასი დოლარიც მიითვალა. მალეევამ ნახევარფინალში ორ ხელში დაამარცხა სილვია ფარინა (იტალია), მეოთხედფინალში ფარინამ 21 წლის ფრანგ ლია ჟირარდის მოუგო, ზვერევამ კი — ლატვიელ ლარისა ნეილანდ-სავჩენკოს (2-1). სულ პირველ წრეში ჟირარდიმ მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი, არგენტინელი გაბრიელა საბატინი შეიწირა.

მიხო ნინუა

**კრივი**

# მალიქ აბდულ-აზიზი!

ციხიდან ვადამდე გამოშვებულმა მძიმეწონოსანმა მოკრივე მაიქ ტაისონმა ჟურნალისტებს იმედი გაუცრუა: გათავისუფლების მეხუთე დღის თავზე შინ, კლივლენდში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც სულ ერთ წუთს გაგრძელდა. მოკრივემ წაიკითხა მშრალი განცხადება, საიდანაც სენსაციებს დახარბებული მედია შეიტყობდა, რომ მაიკი რინგს უბრუნდება; რომ მენეჯერთა მენეჯერ დონ კინგს ყვითელი პრესის ჯიბრზე სულაც არ გაბუტვია; რომ კინგი საუკეთესო იმპრესარიო ყოფილა, რაკიღა ყველას უქმნის თავის გამოჩენის საშუალებას და ფულსაც სხვებზე მეტს კრეფს ბრძოლებისთვისო.

არადა, დამსწრეები კინგთან დაუბრების დეტალების გამჟღავნების გარდა ტაისონისგან სხვა რამ საკბილოსაც ბლომად ელოდნენ. ასე მაგალითად, აინტერესებდათ, მართალი იყო თუ არა ცნობა, რომ ტაისონს ამიერიდან მუსლიმანურ ყაიდაზე ერქმევა მალიქ აბდულ აზიზი; ისიც, რომ მის გადასაბირებლად ორი მუსლიმანური სექტა ერთმანეთს წაჰკიდებია; და ისიც, თუ პირველი შერკინების გამართვას ვისთან აპირებს, ანაც ახალ მრწამსს მუშტების ქნევას როგორ შეუხამებს.

მოკრივემ არავის არაფერი აკითხვინა და განცხადების წაკითხვისთანავე დაუტევა პრეს-კონფერენცია.

ამასობაში, მოახლოვდა მძიმეწონოსანთა მორიგი საჩემპიონო შერკინება, ამჯერად კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით. ამ შაბათს ლას-ვეგასში საბჭოს მსოფლიო ჩემპიონს ოლივერ მაქქოლს ჩემპიონის სარტყელს ჯორჯ ფორმენივით ვეტერანი, ოღონდ აწ ოდენ ჩემპიონყოფილი ლარი ჰოლმსი შეეცილება. პრეტენდენტს განუცხადებია, თუ წავაგებ, კრივს საბოლოოდ დავანებებ თავსო. ისე კი, მომავალ მეტოქეებს ტელევიზიით ცხარე სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გაუმართავთ. კრივში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ახალგაზრდა მაქქოლს მერე და მერე შეუნიშნავს, ბებერ ჰოლმსს მაინც პატივს ვცემო.

25 თებერვალს ნაცემი ზესაშუალოწონოსანი ჯერალდ მაკლელანი იმდენად მოკვეთებულა, რომ ლონდონიდან შინ, ამერიკაში მიჰყავთ, აქაო და ოჯახური გარემო მეტად მოუხდებაო. არადა, მოკრივე კარგა ხანი მაცოცხლებელ მანქანას იყო მიერთებული, იმდენად დაშავებოდა თავის ტვინი.

ვალერი ჯიქია

**ავტო-მოტო**

# იმოლაზე ყუმბარებს გადააწყდნენ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ავტომობილიზმის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ბრიტანელი მაქს მოზლი ფიცხელ გამოეხმაურა ფორმულა-1-ის მსოფლიო პირველობის პირველივე ეტაპის ინციდენტებს: სან-პაულუს „ინტერლაგოსის" ავტოდრომზე გამართული ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ მან ბრძანა, რომ საწვავის შემადგენლობა ერთობ ფაქიზი რამა ყოფილა; ამიტომ გუნდებს გულისყურის მიდევნება მართებთ მთელი სეზონის მანძილზე რომ დაიცვან ის ფორმულა, ჩემპიონატის დაწყებამდე დასამტკიცებლად რომ წარმოგვიდგენენო.

მას შემდეგ, რაც გერმანელ შუმახერს — პირველი, ბრიტანელ კულტჰარდს კი — მეორე ადგილი ჩამოართვეს, როგორც მოსალოდნელი იყო, მათმა გუნდებმა — „ბენეტონმა" და „უილიამსმა" იჩივლეს. აპელაციას 13 აპრილს განიხილავენ. მანამდე კი, 7-9 აპრილს მეორე ეტაპი — არგენტინის დიდი პრიზი გათამაშდება.

საერთაშორისო ფედერაციამ ჯერჯერობით თვალი დახუჭა იმ ფაქტზე, რომ შუმახერი რბოლის შემდეგ წონაში ერთობ ბევრს იკლებს. როგორც ეჭვობენ, მრბოლს ორი, გარეგნულად ერთნაირი, წონით კი მკვეთრად განსხვავებული ჩაფხუტი ჰქონია: მძიმეს სტარტისწინა აწონვისას იხურავს, მსუბუქს კი — რბოლისას, რითაც სხვებთან შედარებით დიდ ფორას ილებს. რაკიღა შუმახერის ფინიშისშემდგომი ჯამური წონა დაწესებულ მინიმუმზე მაინც მეტი აღმოჩნდა, ფედერაციას ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, თუმცაკი უეჭველად მეტად გაფრთხილდება.

ამასობაში ჩემპიონატის კალენდარი მეტად დაზუსტდა. სან-მარინოს დიდი პრიზის სარბიელი, იმოლას ტრასა, სადაც შარშან სენა დაიღუპა, საფუძვლიანად განაახლეს, ტრეკის ნახევარზე კი საფარიც კი შეცვალეს ამ საქმეში რომ იყვნენ, მუშები მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ორ ყუმბარას გადააწყდნენ. გამოცხადდა განგაში, გარეშენი კი გახიზნეს. საშველად ხმობილმა სამხედროებმა დაადგინეს, რომ ყუმბარები ისე დამზრალან, რომ ველარც აფეთქდებოდნენ. ერთი სიტყვით, იმოლა 30 აპრილს ახლა კი უკვე დანამდვილებით უმასპინძლებს ჩემპიონატის მესამე ეტაპს.

უნგრეთის დიდი პრიზი აქამდე სათადარიგო ეტაპად მიიჩნეოდა. 30 მარტს გადაწყდა, რომ შეჯიბრება, რომელიც 11-13 აგვისტოს „ჰუნგარორინგზე" უნდა გაიმართოს, სრულუფლებიან ეტაპად სცნონ. ამის შედეგად წლევანდელი ჩემპიონატი 17-ეტაპიანი გახდა.



მაიკლ დუენი



მოტომრბოლთა მსოფლიო პირველობაზე მეორე ეტაპიც გაიმართა. 31 მარტიდან 2 აპრილამდე რკინის რაშებზე ამხედრებულ რაინდებს კუალა-ლუმპურის „შა-ალამის" მოტოდრომი მასპინძლობდა. პარასკევს დიდებულად ირბოლა 29 წლის ავსტრალიელმა, შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა და წლევანდელი პირველი ეტაპის — ავსტრალიის დიდი პრიზის გამარჯვებულმა მაიკ დუენმა („ჰონდა") — წრის რეკორდი 0,04 წამით გააუმჯობესა. შაბათსაც და კვირასაც დუენმა იმარჯვა: ერთობ ნოტიო ამინდში ჯერ კარიერის 23-ე „პოული" გაახერხა, რბოლისას კი პირველივე წრიდან წინ გაიჭრა და ისევ აჯობა მეორე ადგილზე დარჩენილ თანამემამულე დარელ ბითის („სუძუკი"). ამათ გარდა სტარტზე წინა მწკრივში ორი იტალიელი — ლუკა კადალორა („იამაჰა") და 125 კუბური სანტიმეტრის კლასში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლორის კაპაროსი იდგნენ, მაგრამ პირველს ძრავმა უმტყუნა, მეორე კი დაეცა და დაშავდა. ჰოდა, მალაიზიის დიდი პრიზიც დუენის კერძი შეიქნა.

**აქეთური, იქითური**

ინგლისში, ჩრდილოეთის ქალაქ დარემში კროსმენთა მსოფლიო პირველობა გაიმართა. ოთხივე გუნდური ტიტული მოიპოვეს კენიელებმა, რომლებსაც დისკვალიფიცირებული ჯონათან ნგუგი და კომპლექვანი [illegible] [illegible] 2 კილომეტრი იყო, 815 მეტრი კი მო[illegible] [illegible] ოთხს. ვაჟებში კენიელი პოლ ტორგატი მალევე დაწინაურდა და 8 წამითაც აჯობა მაროკოელ სალაჰ ჰისუს. ფინიშთან მესამე კენიელი ისმაილ კირუი იყო, მეოთხე — ეთიოპი ჰაიმე გაბრესილასე. ქალთა გარბენი ეთიოპმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დერატუ ტულუმ მოიგო. ეთიოპებმა შეჯიბრების ადგილზე ჩასვლას სამი დღე მოანდომეს, გზად ათენში ჩარჩნენ და გვარიანადაც დაიშრნენ, ლონდონიდან დარემამდე კი ავტობუსით შვიდ საათში ჩააღწიეს.

*

სამხრეთი აფრიკის ტრანსვაალმა კვირას სტუმრად 27:18 დაამარცხა ახალი ზელანდიის ოთაგო და გავიდა სამხრეთი ნახევარსფეროს ქვეყნების პროვინციათა რაგბის პირველობის — ზე-ათის სერიალს ფინალში, რომელიც მომავალი რაგბის მსოფლიო თასის ფინალის ბინაზე — იოჰანესბურგის „ელის პარკზე" შაბათს, 8 აპრილს გაიმართება: შარშანწინდელი გამარჯვებული ტრანსვაალი შარშანდელ ჩემპიონს, ავსტრალიის ქვინზლენდს უმასპინძლებს.

*

ქვინზლენდი, როგორც იქნა, გახდა ავსტრალიური კრიკეტის უმთავრესი საშინაო ჯილდოს — „შეფილდ შილდის" მფლობელი. ამ ჯილდოს გათამაშებაში ოდენ ექვსი შტატი მონაწილეობს, მაგრამ დიდი საკრიკეტო ტრადიციის პატრონი ქვინზლენდი აქამდე ერთადერთი ყოფილა, ვისაც შეჯიბრების 68-წლიან ისტორიაში ვერაფრით გაემარჯვა, რისთვისაც მთელი ქვეყანა მასხარად იგდებდა. ამჯერად ქვინზლენდმა დამაჯერებლად მოიგო შტატების ჩემპიონატი, ფინალში კი შინ, ბრისბენის „გაბაზე" შესვლითა და 101 გარბენით დაამარცხა ვიცე-ჩემპიონი სამხრეთი ავსტრალია. ჩრდილოელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო ქვეყნის ნაკრების ყოფილმა, აწ კი ოდენ შტატის ნაკრების კაპიტანმა, 39 წლის ალან ბორდერმა, რომელსაც აწ უკვე მშვიდად შეუძლია პენსიაზე გასვლა.

*

დასრულდა ამერიკული პროფესიული სპორტის ისტორიაში უგრძესი, 232-დღიანი გაფიცვა. ფედერალურმა სასამართლომ გაამტყუნა კეტბურთის 28 კლუბის მეპატრონეები და მოთამაშეებს მიემხრო. კლუბები იძულებული შეიქნენ, კეტბურთელთა ლიანგურ დათხოვნაზე ხელი აეღოთ. სეზონი 2 აპრილს სათადარიგო შემადგენლობებით უნდა დაეწყოთ, მაგრამ მოთამაშეთა ასოციაცია მეპატრონეებს შეპირდა, თუ სამუშაოზე დაგვაბრუნებთ, სიტყვას გაძლევთ, შარშანდელისაგან განსხვავებით შუა სეზონში აღარ გავიფიცებითო. მეპატრონეები დაყაბულდნენ ამ წინადადებას და სეზონის სტარტი 26 აპრილისთვის გადადეს, მანამდე კი მოთამაშეები ვარჯიშს შეუდგნენ.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ილია ბაბუნაშვილი
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29